რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 12 აპრილი 1917 წ.

# ერთობა

„თანამედროვე აზრის“ გაგრძელება.

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлис Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 21 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 21

# დიდი რევოლუცია.

**რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 12 „ერთობის“ რედაქციის გვერდით.**

**მუდმივი მდივნის მოვალეობას შეასრულებს ზ. ჩიჩუა და ამხანაგებს სთხოვენ მიმართონ მას ახსნა-განმარტებისთვის.**

**ბიურო ღიაა დილით 11—1 საათამდე.**

**საღამოს 5—7 „**

---

ღრმათ დამწუხრებული პირისუფლები ჯარის კაც

**მოსე გაბრიელის ძე კოპლატაძისა,**

რომელიც უდროოთ გარდაიცვალა ბელიკლიუჩში 27 ოქტომბერს 1916 წ. და ამა წლის მარტში გადმოსვენებულ და დაკრძალულ იქმნა ს. ბასილეთის (გურია) წმ. ვასილის სასაფლაოზე ულრმეს მადლობას სწირავენ ყველა მათ, ვინც პატივი გვცა და გვანუგეშა მწუხარებაში მყოფნი პირისუფლები ტელეგრამით, წერილებით, გზაში დახვედრით, გადმოსვენებაზე დახმარებით და აგრეთვე დაკრძალვაზე დასწრებით.

---

## პოლიტიკურ გადასახ. დამხმარე კომისია

### მოქალაქენო!

მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა პოლიტიკურ გადასახლებულთა დამხმარე კომისია.

რომ ეს დახმარება საკმარისი დარჩეს, საჭიროა საშვალება, საშვალება და საშვალება.

გთხოვთ ფული გამოგზავნოთ სასახლეში კომისიის სახელზე დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ტანსაცმელი, თეთრეული და ფეხსაცმელი ლაზარეთი № 29 ში ბუდოვიჩის ქუჩა, იმავე საათებში.

კომისია იმყოფება სასახლეში, მუშათა დეპუტატების საბჭოსთან.

---

## მოქალაქენო!

**15 აპრილს რევოლიუციონური პროლეტარიატი და რევოლიუციონური არმია გამართავენ წითელ ყვავილის დღეს.**

**წითელი ყვავილი—ეს სიმბოლოა ძლევამოსილ რუსეთის რევოლიუციისა, სიმბოლოა სისხლისა, რომელიც თავისუფლებისათვის დაიღვარა.**

**მოქალაქენო! მოპოებული თავისუფლება ერთნაირათ ძვირფასია ყველასათვის და ჩვენც სიხარულით და სიამაყით დავიმშვენოთ გვერდი წითელი ყვავილით.**

**ნახევარი შემოსული ფულისა მოხმარდება საჩუქრებს ფრონტზე მყოფ ამხანაგ ჯარისკაცებისათვის.**

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოები.**

---

## სახალხო სახლი

პარასკევს, 14 აპრილს 1917 წ. ქართულ დრ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ალ. სუმბათაშვილისა

## ღალატი

დრამა, ლეგენდა 5 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ბ. მატარაძისა, პ. შოთაძე. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, შ. დადიანი, ი. ხარდალიშვილი, ნ. გვარაძე, გ. სალაძე, ი. თარალაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია. დასაწყისი საღ. 9 საათზე.

3—1 ადმინისტრაცია ქართ. მსახ. ამხანაგობა.

---

სამედიცინო საზოგადოების სადგომში (ალექსანდრეს ბაღი) 20 და 21 აპრილს ამა წლისა, საღამოს 6 საათზე დანიშნულია

## საზოგადო კრება

მკახიის სკოლის ფერშლებისა, ფერშალ ქალებისა და ბებია ქალებისა საკორპორაციო თხვების გასარჩევათ თანამედროვე მომენტის მიხედვით და არჩევნები საბჭოს წევრებისა და საამხანაგო სასამართლოს წევრებისა. 2—1

---

### ა. გ. მეგრაბიანცი

**შინაგან ავათმყოფობა ფილტვისა და გულის.**

იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გახსნილ და წამლობა სხივებით. აგრეთვე ყველანაირ ფილტვის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისტკივილის, —ტკივილით. დიდი სალინოიდი სპეციალური მოწყობილობა და არსონვალის ტოკით ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჰემორ. ბის, სისხლ ნაკლებობის, უძილობის, ნევრალგიისთვის. ხერხემლის ტვინის ავათმყოფობის ასთმის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—82.

### ექიმი ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი—კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

### ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

**შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი**

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

### ექიმი ა. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

### ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

### ქ. ქუთაისში.

### ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

### ქუთაისი

### ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ღ. საათამდე

---

## ევროპის ბურჟუაზია და რუსეთის რევოლიუცია.

ევროპის ბურჟუაზია მუდამ რუსეთის განახლებას ებრძოდა. შინ თავისუფლების მატარებელი და მოტრფიალე, რუსეთში მშვენივრათ ეგუებოდა და ურიგდებოდა თვით მპყრობელობის ბატონობას. 9 იანვარი და ლენის ამბები სრულ ადაც არ ალონებდა თავისუფალი საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენელთ რუსეთში, ოღონდ თავისა ჯიბე გაესქელებინათ, რაც შეიძლება მეტი ზედმეტი ღირებულება გაეტანათ პუტილოვის ქარხნებიდან და ლენის მაღაროებიდან და თუნდაც მთელი პეტროგრადის ქუჩები და ლენის მადამოები მუშების სისხლით მოერწყოთ ტრეშჩენკოვებს, ამაზე ისინი კრინტსაც არ დასძრავდენ. პირიქით, ევროპის ბურჟუაზიის ინტერესები ტრეშჩენკოვების ბატონობის უზრუნველყოფას ითხოვდენ. ამ მიზნით ის ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის თვითმპყრობელობას დიდ დახმარებას უწევდა. არა ერთი და ორი პოლიტიკური ემიგრანტი მიუცია რუსეთის მთავრობის მოთხოვნილების თანახმათ რესპუბლიკანურ საფრანგეთს რუსეთისათვის. 1906—1907 წლებში, როდესაც ნიკოლოზ მეორის მთავრობა დიდ ფინანსიურ კრიზისს განიცდიდა, იგი უცხოეთის კაპიტალისტებმა დაიხსნეს. მაშინ, როდესაც „ვიბორგის მანიფესტის“ სახით ლიბერალები და მემარცხენე პარტიები ხალხს მოუწოდებდენ არ მიეცათ მთავრობისათვის „არც ერთი კაპეიკი ფული და არც ერთი ჯარისკაცი“, საფრანგეთის ბანკები მილიონობით აძლევდენ სესხს რუსეთის ხალხის მიერ ათვალისწინებულ მთავრობას.

დას. ევროპის ბურჟუაზია ამ შემთხვევაში ორი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. როგორც ვიცით, რუსეთში უცხო კაპიტალი ბატონობს. ბატონყმური ნაშთების არსებობა, პოლიტიკური უუფლებობა ხელს უშლიდა რუსეთს განვითარების საწარმოო ძალები. უცხოეთის ბურჟუაზიას მშვენივრათ აქვს გათვალისწინებული, რომ განახლებული რუსეთი სწრაფი ნაბიჯით განავითარებს თავის საწარმოვო ძალებს, ეს კი საფრთხეს უმზადებს უცხოელ კაპიტალის ბატონობას და ხელიდან აცლის მას გემრიელ ლუკმას.

მეორეს მხრით რუსეთის განახლება აძლიერებს საერთაშორისო მუშათა დემოკრატიას და ასუსტებს ევროპის რეაქციას. მუშათა კლასის გაძლიერება დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას რეაქციის ბანაკში ერეკება. წითელმა საფრთხის შიშმა იმდენათ შეიპყრო დას. ევროპის ბურჟუაზია, რომ თავისი რევოლიუციონური წარსულიც კი დაავიწყა და მუშათა კლასის წინააღმდეგ საბრძოლველათ „ევროპის ჟანდარმს“ დაუმეგობრდა.

ცხადია, 27 თებერვლის რევოლიუციამ თავზარი დასცა და მოსვენება დაუკარგა არა მარტო რუსეთის რეაქციონერთ, არამედ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიასაც. როცა ნიკოლოზ მეორის მთავრობა სცემდა ხალხთავში და ტყვიით გულს უგმირავდა, მაშინ დას. ევროპის სახელმწიფონი დაჩქარებით, ხმამაღლა აცხადებდენ: „რუსეთის შინაურ საქმეებში ჩვენ ვერ ჩავერევითო“. ხოლო, როცა ხალხმა ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადმოაგდო, იმავე საფრანგეთმა და ინგლისმა დროებით მთავრობას უნდობლობის თვალით შეხედეს. ეს ცოტაა. ის განახლებულ რუსეთს ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ ეღობებოდა. რუსეთის ემიგრანტების დაბრუნებას ისინი ეხლაც ხელს უშლიან და გარეშე საქმეთა მინისტრი მილიუკოვიც იძულებულია კატეგორიული მოთხოვნით მიმართოს მათ და ემიგრანტთა თავისუფალი უკან დაბრუნება მოსთხოვოს.

ნიკოლოზ რომანოვი და მისი მეუღლე დროებითმა მთავრობამ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოთხოვნით დააპატიმრა, როგორც აშკარა მოღალატე და ხალხის მუდმივი მტერი. ეს არაფრათ ეპაშნიკათ დასავლეთ ევროპის „ლიბერალურ“ სახელმწიფოებს. ჯერ ინგლისის თემთა პალატაში კონსერვატორთა ლიდერმა ბონარ ლოუმ რუსეთის ჯალათს სრული თანაგრძნობა გამოუცხადა. ხალხის მტერს ხელს უწყობიან და მას მეგობრობას ეფიცებიან! ახლა ასევე მოიქცა რესპუბლიკანური საფრანგეთის პრემიერ მინისტრი რიბო. მან დეპუტატთა პალატას ასეთი სიტყვებით მიმართა:

„ჩვენ ალტაცებაში მოვდივართ მეფის მოქმედებით, რომელმაც ხალხის სურვილს დაუმორჩილა დინასტიის წარსული დიდება. ამაზე უფრო ლამაზი და უკეთესი რამ არც შეიძლება მეფე იყო, არის და იქნება საფრანგეთის ნამდვილი მეგობარი (ტაში). ჩვენი მოვალეობაა აი ამ ტრიბუნიდან მას თანაგრძნობა გამოვუცხადოთო“. რიბო ქებათა-ქებას ასხამს ხალხის მიერ დატყვევებულ მეფესა და პარლამენტიც მას ტაშს უკრავს. რესპუბლიკანური საფრანგეთი რუსეთის რევოლიუციონური მთავრობის განმტკიცების მაგიერ ყოფილი მეფის ავტორიტეტის აღდგენას ცდილობს.

რას ნიშნავს ეს თუ არა კონტრრევოლიუციის მხარის დაჭერას?! ცხადია, ყველა ქვეყნის რევოლიუციონური ძალები ერთდებიან და ერთი მეორეს ხელს უწყობენ. საერთაშორისო მუშათა დემოკრატია ამას კარგათ უნდა ჩაუკვირდეს, ინტერნაციონალური კავშირი დაჩქარებით აღადგინოს და საერთო მტერს საერთო ძალით გაუმკლავდეს. რუსეთის რევოლიუციამ ინტერნაციონალის დაჩქარებით აღდგენის აუცილებლობა კიდევ უფრო ნათელყო.

---

## დემოკრატია ზავს მოითხოვს.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ჩვეულებრივი მოქალაქეთა აზროვნებაში დიდი ცვლილება მოახდინა და მან საზოგადოებრივ მოვლენებს სხვა თვალით დაუწყო დაფასება.

მუშათა კლასმა, გლეხკაცობამ, რევოლიუციონურმა ჯარმა და თვით წვრილმა ბურჟუაზიამ, ამ რევოლიუციის ქარტეხილში კარგათ შეიგნო, რომ მეომარ სახელმწიფოთა იმპერიალისტური პოლიტიკა კაცობრიობის ეკონომიურ და სულიერ კულტურას ანადგურებს და საერთაშორისო დემოკრატიის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ვიდრე რუსეთის დემოკრატია ძველი რეჟიმის მიერ შემორტყმულ სალტეებში იწურებოდა, ვიდრე მის შემეცნება-შეგნებას გარს ჯავშნიანი მუშტი დატრიალებდა, მანამდის მისი საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები მზის სხივებს ვერ ხედავდენ. მაგრამ როგორც კი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობა დემოკრატიის სასარგებლოთ შეიცვალა და მას საშუალება მიეცა თავისი კლასობრივი შეხედულება საჯაროთ გამოსთქვას, მან იმპერიალისტების საგარეო პოლიტიკას მაშინვე ზურგი აქცია და ზავის საკითხი დღიურ წესრიგში დასვა.

რუსეთის თავისუფალი მოქალაქე ყველაფერს თამამათ და თავისუფლათ უცქერის; მას ახლა აღარავისი ერიდება და თავის გულნადებს საქვეყნოთ აცხადებს.

მთელი იმპერიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოებმა მოურიდებლათ და გაბედულათ მოითხოვეს საპატიო, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი. ასეთს ზავს მხარს უჭერს რუსეთის მთელი გლეხობაც; ასეთივე ზავის წამოყენება მოსთხოვა რუსეთის მუშათა და ჯარ. კაც. დეპ. საბჭომ საერთაშორისო დემოკრატიას.

ახლა ამათ ზურგში ამოუდგა მთელი ფრონტის მოქმედი არმია და ზავის საკითხში დემოკრატიას მხარი დაუჭირა. მოქმედ ჯართა დელეგატებმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების წარმომადგენლებთან ერთად, საპატიო ზავის დაუყონებლივი ჩამოგდება მოითხოვს. ასეთივე რეზოლიუციები გამოაქვთ ჯარის სხვადასხვა ნაწილებს, ქვეითი და ცხენოსან ჯარის ბრიგადა-დივიზიებს.

ერთი სიტყვით, რუსეთის დემოკრატია ზავის საკითხს რევოლიუციას უკავშირებს. ამჟამათ მისი პრაქტიკულათ განხორციელება მთავარი თავდებია რევოლიუციის გაღრმავება-განმტკიცებისა.

საერთაშორისო ომის მიერ გამოწვეულმა წარმოუდგენელმა ეკონომიურმა კრიზისმა რუსეთის დემოკრატიის რევოლიუციონური ამოძრავება დააჩქარა და მას პოლიტიკურ ნიადაგზე ძლიერი ნაბიჯი გადაადგმევინა; ეკონომიურმა კრიზისმა და ხალხის საერთო დამშევამ, მიმოსვლის არევ-დარევამ ხალხს ნათლათ დაანახა ძველი რეჟიმის სრული უვარგისობა. მუშათა კლასი და დემოკრატია პოლიტიკურ თავისუფლების ნიადაგზე მედგრათ აამოძრავა. მან შესძლო ძველი რეჟიმის დამხობა.

მაგრამ იმავე მიზეზებმა, რომლებმაც რუსეთის დემოკრატიას საშუალება მისცეს პოლიტიკური თავისუფლება მოეპოებია, ადვილათ შესაძლებელია უკეთუ არსებული ეკონომიური კრიზისი გახანგრძლივდა და ომი გაგრძელდა კონტრ რევოლიუციის ამოძრავებას ხელი შეუწყონ. დამშევისა და ეკონომიურ კრიზისის ნიადაგზე შესაძლებელია ბნელი ძალების ამოძრავება და რესტავრაციის მოხდენა. ამიტომაც არის მთელი დემოკრატია მუშათა კლასის და მოქმედ ჯარის მეთაურობით საპატიო ზავის დაჩქარებას მოითხოვს. რუსეთის დემოკრატიამ საერთაშორისო დემოკრატიაზე დიდი გავლენა მოახდინა. ამის ნიშნები უკვეა, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ომს სულ მოკლე ხანში ბოლო მოეღება. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი რუსეთის რევოლიუციის განმტკიცების საუკეთესო თავდებია.

---

## ეკლესიის გარშემო.

ვერ დაასახელებთ მე-18 და 19 საუკ. ისტორიაში ისეთ სოციალ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც სარწმუნოებრივ-ეკლესიური შარავანდედით იყოს შემოსილი. პირიქით, მე-18 და 19 საუკუნის რევოლიუციები აღბეჭდილია კათოლიკურ ეკლესიის რეაქციონურ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლით დასავლეთში და მართლმადიდებელთა ეკლესიის—აღმოსავლეთში. ცნობილია, რომ ყველა ახალი დროის რევოლიუციებში ეკლესია და სამღვდელოება უმეტესათ რეაქციონურ პოლიტიკას აწარმოებდა და თავად-აზნაურობასთან ერთად კონტრ-რევოლიუციის სათავეში იდგენ. ვისაც ისტორია შეუსწავლია, ადვილათ შეამჩნევდა იმ ფაქტს, რომ ყოველ დიდ საზოგადოებრივ მოძრაობის დროს, რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირითადი გარდაქმნა-გადატრიალება, ეკლესია და სამღვდელოება კარგავენ თავის გავლენას, დროებით იმალებიან, შიშით თავზარდაცემულნი ან ძალაუნებურათ ემხრობიან ახალ ძალებს, ანდა ჩუმათ თავის ბნელ მოღვაწეობას აწარმოებენ, რომ რეაქციის დროს თავი წამოყონ. ხოლო როდესაც რეაქცია იწყება, როდესაც მომაკვდავი კლასები დროებით დაეპატრონებიან საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაშინ ყველაფერს ეკლესიის ბეჭედი აზის, ხდება სარწმუნოების რენესანსი, მოდუნებულ საზოგადოებას იპყრობს სხვადასხვა სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნოებანი და სამღვდელოებას მოქმედების ფართო ასპარეზი ეშლება. ასე იყო ყველგან. საფრანგეთის დიდი რევოლიუცია—ეს ხომ უარყოფაა ეკლესიის ბატონობისა, სამაგიეროთ მე-19 საუკუნის დასაწყისის დიდი რეაქცია დადასტურებაა ამ ბატონობისა. დამახასიათებელია ის, რომ მაშინდელი საშინელი რეაქციის ბურჯი—„წმინდა კავშირი“, რომლის ავტორები იყვენ ალექსანდრე I და მეტერნიხი, ეკლესია სარწმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობის პრინციპებზე იყო დამყარებული. რომელი ერთი დავასახელოთ: მთელი მეცხრამეტე საუკუნე სასტიკი ბრძოლაა თავად-აზნაურობისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული და ეს ბრძოლა დღესაც არ დამთავრებულა, თუმცა ძალზე შესუსტდა კლერიკალების გავლენა.

ეკლესია და სამღვდელოება მაშინ წამოყოფენ ხოლმე თავს, როდესაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრების არევ დარევას, როდესაც რაიმე ხასიათის რეაქცია მძვინვარებს. დღევანდელი ომი ხომ უდიდესი რეაქცია, ცხოვრების უდიდეს საზომით დარღვევაა და ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ დღეს სამღვდელოება თავის უარყოფითი მოღვაწეობას განავითარებდა. ეს ასეც მოხდა. ომის დაწყებისთანავე ყველა მიმართ ქვეყნებიდან კორესპონდენტები აღნიშნავენ საერთო სარწმუნოებრივ გატაცებას და მრავალგვარ ცრუმორწმუნოების გავრცელებას. ყოველივე ეს ადვილი ასახსნელია: ეკლესია, როგორც ორგანიზაცია და მისი წარმომადგენელნი—სამღვდელოება შეეფერებიან ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ძველ დრო მოჭმულ ფეოდალურ ნატურალურ წესწყობილებას, ხოლო ყველა თანამედროვე რევოლიუციები მოწოდებულნი არიან სწორეთ ამ ურთიერთობის დასამხობად. ამიტომაც არის, რომ სამღვდელოება თითქმის ყოველთვის თავად-აზნაურობასთან ერთად ირაზმება, მათში ისტორიული ორგანიული კავშირია. ასეთივე მდგომარეობა იყო დღემდის რუსეთში. ყველას მოეხსენება რუსეთის ეკლესიის როლი თვითმპყრობელობის განმტკიცებასა და შენარჩუნებაში. მაგრამ იელვა რუსეთის მძლავრმა რევოლიუციამ და სამღვდელოებაც მიიმალა.

ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ ჩვენში თითქო ამ საერთო ისტორიულ მოვლენას ადგილი არ დაურჩა. ჩვენში პირიქით, ეკლესია თითქო „რევოლიუციონური" აღმოჩნდა. გამოდის რომ ქართველმა სამღვდელოებამ დაარღვია საერთო კანონი, მან ისტორიული სასწაული ჩაიდინა და ეს უძველესი დროის ორგანიზაცია—ქართული ეკლესია ახალ და ნორჩ ძალებს გვერდში ამოუყენა. დღეს მართლაც რომ რაღაც არაჩვეულებრივ რამ ხდება ჩვენს ეკლესიის გარშემო. მას მოსდის მისალოცი დეპეშები, ქებათა ქება, ის გამოცხადებულია თითქმის ქართულ ეროვნულ კულტურის მხსნელათ, ქართველი სამღვდელოების „რევოლიუციონერობას" „ვაშას" უგზავნიან ჩვენი პრესის ერთი ნაწილის ორგანოებში. ქართული ეკლესია და სამღვდელოება შეიმოსა განთავისუფლების შარავანდედით და ეპლეონიდე კი სარწმუნოებრივ გმირათ. ერთი სიტყვით უძველესი და დრო მოჭმული ორგანიზაცია—ქართული ეკლესია და სამღვდელოება „საპატიო" ადგილს იჭერს დღევანდელ რადიკალურ რევოლიუციაში. რა მოხდა? ის, რაც დღეს ხდება ქართულ ეკლესიის გარშემო, ჩვენის აზრით დამაფიქრებელია და ანგარიშ გასაწევი ქართველ დემოკრატიის მხრით. საჭიროა გაგება და ახსნა ფართო მასაში ამ ფაქტისა. ვინც ნაციონალისტთა აგიტაციას თვალს ადევნებდა ამ ბოლო დროს, მან იცის, თუ როგორ მოუმზადეს ჩვენმა ნაციონალისტებმა ნიადაგი იმას, რაც დღეს ხდება. ისინი ერთხმათ გაიძახოდენ, რომ სარწმუნოება ქართველი ხალხის იღუპება, რომ საჭიროა მისი აღორძინება, საჭიროა შელახული რწმენის აღდგენა, რასაც ხელს შეუწყობს ავტოკეფალიაო. ნაციონალისტებმა შეურიეს ერთი მეორეში ყველაფერი, ავი და კარგი, ახალი და ძველი, განუკითხავათ მოითხოვენ ყველაფრის აღდგენას, თუ კი მას „ქართული"-ს სახელი ჰქვია, პოლიტიკური და კულტურული რენესანსი დაუკავშირეს სარწმუნოებრივს, ცხოვრების ახალი ორგანიზაციები ძველსა და დრომოჭმულს და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ ერთ დროს ეს და ეს გვქონდა, ერთ დროს ეს და ეს ვიყავით, ყველაფერი, რასაც ქართულ ცხოვრების ნიშანი აქვს, უნდა აღვადგინოთო. მათ შემოსეს ეკლესია და სამღვდელოება წამებისა, დევნისა და განთავისუფლების შარავანდედით. ამიტომ შესაძლებელია ჩვენში განმეორდეს ის, რაც ხდება დღეს სომხის ერის ცხოვრებაში, რომელსაც მუხმუხელასავით დასწოლია საუკუნოების განმ ვლობაში სომხის კლერიკალები. ამის ნიშნებს უკვე ვამჩნევთ. სამღვდელოება ლამობს ხელში ჩაიგდოს საეკლესიო მიწა-ადგილები და დიდი ქონება წინააღმდეგ რევოლიუციონურ დემოკრატიის მოთხოვნისა, რომ ეს ქონება გადაეცეს მშრომელ ხალხს. რაც შეეხება სარწმუნოების განმტკიცების ქადაგებას, ხალხის გონება-აზრის მომავალ დაპყრობის სურვილს—ეს მეტათ გარკვევით არის ეპ. ლეონიდეს, ასე ვთქვათ, საპროგრამმო სიტყვაში გატარებული. ეს სიტყვები იმდენათ დამახასიათებელია, რომ ნებას მივცემ თავს მოვიყვანო მკითხველის საყურადღებოთ. ლეონიდე ამბობს: „როდესაც ყველა ამ უკუღმართობას (ე. ი. მთავრობის პოლიტიკას. ა. ჟ.) ბოლო მოეღო, მშობელ ეკლესიას რომ კვლავინდებურათ ისევ შორიდან უყუროთ, ამას იქით ჩვენი სალოცავები რომ წირვა-ლოცვის დროს წინანდებურათ ისევ ცარიელები დარჩნენ, მქადაგებელ ქართველ მოძღვარს რომ ყოველთვის საკმაო მსმენელები არ ეყოლოს, ამას არ შეგვინდობს მშობელი ეკლესია, ეს დაგვამცირებს, ღირსებას დაგვიკარგავს და პატივს აგვყრის ყველა მეზობლებისა, ნაცნობებისა, მოკეთეებისა და მტრების თვალში. დღეის ამას იქით ჩვენი ეკლესიები სწორეთ ისე უნდა იყვენ ხოლმე აღვსილნი მორწმუნეთაგან, როგორც ამ წამს ავსილი და გაჭედილია ეს ჩვენი უძველესი სალოცავი. ჩვენში უნდა გაიღვიძოს ღვთის მოსავმა, მძლავრად უნდა იფეთქოს სარწმუნოებრივმა გრძნობამ. დღეს, რაკი ჩვენი ეკლესია საკუთარ თავს მიეყრდნო, ქალმა და კაცმა, მოხუცმა და ახალგაზრდამ, მდიდარმა და ღარიბმა უნდა უსათუოდ შეიყვაროთ იგი, დაუღალავათ მას, ყურმახვილათ იყოთ მის მოძღვრებაზე"... („საქართველო" № 67). ამგვარათ მომინლიბით გაჭედილი ეკლესია, რელიგიოზურ ბურუსში გახვეული თავგანწირული ხალხი, ქრისტიანული თავმდაბლობით და უკრიტიკო მოთმინებით აღჭურვილი ქართველი ხალხი „ქართველ მქადაგებელ მოძღვრის" წინაში—აი მშვენიერი, მაცდუნებელი პერსპექტივა! რას იტყვიან ამის შესახებ ქართველი ნაციონალისტები? ისინი ისე დაბრმავებულნი არიან ნაციონალიზმით, რომ ვერ გაურჩევიათ ერთი მეორისაგან სინდისის თავისუფლება და ეკლესიის, როგორც ორგანიზაციის, ძველი დროის შესაფერის, აღორძინება. შეიძლება აღნიშნული იდილიური პერსპექტივა ჩვენი ნაციონალისტებისთვის ხელსაყრელი იყოს მაგრამ ქართველი დემოკრატია შესაფერი პროპაგანდით უნდა ენერგიულათ შეებრძოლოს ეკლესიის და სამღვდელოების ნაჩვენებ მავნე მიდრეკილებას.

ალ. ჟორჟოლიანი.

# დეპეშები.

(პ. ტ. ს. 10—11 აპრ.)

**პროვოკატორები.**

**პეტროგრადი.** 9 აპრ. ოხრანკის საბუთებში აღმოაჩინეს შემდეგი პროვოკატორები: მესამე დუმის დეპუტატი სოციალ-დემოკრატი შურკანოვი, მწერალი სოციალისტ-რევოლიუციონერი ვანინი, ჟურნალისტი ჩიდოვი, ჟურნალისტი სოციალ-დემოკრატი მიხაილოვი (გრიმოვი) და ჟურნალისტი სოციალ დემოკრატი რაკოვსკილერნერი (ფსევდონიმი ლევ პეტროვი).

**ჩხეიძე, წერეთელი და სკობელევი.**

**მინსკი.** 9 აპრ. სიეზდის საღამოს სხდომაზე ფრონტის დელეგატები კითხვებს აძლევდენ კ. ჩხეიძეს, კ. წერეთელსა და მ. სკობელევს ორმთავრობიანობის მთავრობასა და მუშათა და ჯარისკაცთა ურთიერთ დამოკიდებულებისა და ომისა და ზავის შესახებ. სოციალ-დემოკრატიის ლიდერების პასუხებს სიეზდის უმრავლესობა იწონებდა.

**მასწავლებლები და რევოლიუცია.**

**პეტროგრადი.** 9 აპრ. სრულიათ რუსეთის მასწავლებელთა სიეზდის წევრები მიესალმენ დუმის აღმასრულებელ კომიტეტს და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

**კადეტების მიტინგი.**

**პეტროგრადი.** 9 აპრილი. გაიმართა კადეტთა პარტიის დიდი მიტინგი ვინავერის თავმჯდომარეობით; სიტყვა სთქვეს გზათა მინისტრმა ნეკრასოვმა და დუმის წევრებმა ალექსანდროვმა და აჯემოვმა, ვინავერმა და სხვებმა. მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრმა კლაბანოვსკიმ განაცხადა: „სავსებით ვიზიარებ ნეკრასოვის აზრს დროებითი მთავრობისა და მუშათა დეპუტატების საბჭოს ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ. ხოლო ლენინის და ზოგიერთი მისი თანამოაზრეთა გამოსვლა საშიშოა თავისუფლებისათვისო". მიტინგმა დაადგინა მიესალმონ ფრონტის წარმომადგენელთა სიეზდს მინსკში.

**საყურადღებო კრება.**

**სტოკჰოლმი.** 8 აპრილი. ვენის „არბეიტერ ცაიტუნგი" იტყობინება: გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმის, რეიხსტაგის ფრაქციათა ლიდერების და პრუსიის დეპუტატთა პალატის ფრაქციების ლიდერების, აგრეთვე პრუსიის აგრარული კომისიის შეერთებულ სხდომაზე 2 აპრილს, ერთხმათ მიიღეს რეზოლიუცია, რომლის შინაარსი სავსებით ეთანხმება პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ ისტორიულ სამშვიდობო რეზოლიუციას. ავსტრო გერმანიის და ვენგრიის სოციალდემოკრატიის სახელით ილაპარაკა ადლერმა და გორამ, იმათ განაცხადეს—სავსებით ვეთანხმებით ამ გადაწყვეტილებასო.

**მიწა და გლეხები.**

**ადესა.** 8 აპრ. გაიმართა პურის მთესველთა დელეგატების კრება, რომლებსაც 1600 კაცი დაესწრო; დაადგინეს: გადაეცეს მთელი მიწა მშრომელ გლეხკაცობას. გაუქმდეს გადასახადები და დაწესდეს შემოსავლის კვალობაზე. ინვალიდებს და მოხუცებს დაენიშნოს სახელმწიფო ხაზინიდან პენსია.

**8 საათის სამუშაო დღე.**

**პეტროგრადი.** 10 აპრ. ეკატერინოსლავის მუშათა დეპუტატების საბჭო სთხოვს სააგენტოს უარყოს ყალბი ცნობა 5 აპრილის თარიღით, ვითომც ეკატერინოსლავის მუშათა საბჭო 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგი იყოს, რომელიც უკვე შემოღებულია ფაბრიკა-ქარხნებშიო.

**თურქესტანში.**

**პეტროგრადი.** 10 აპრ. რუსეთის მაჰმადიანთა დროებითი ცენტრალური ბიურო მოითხოვს დრ. მთავრობის მიერ თურქესტანში დანიშნულ კომისარიატისაგან: 1) დაუყონებლივ გადაყენებას ძველი რეჟიმის მომხრე თანამდებობის პირთა; 2) სრული თანასწორობა ადგილობრივ მაჰმადიანებისა და რუსების უმცირესობის უფლების გარანტიით ყოველგვარ დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; 3) კომისარიატის მოქმედების შეთანხმება ადგილობრივ დემოკრატიასთან, რომელიც თავის იყრის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში; 4) ზომების მიღება კოლონიალურ პოლიტიკის წინააღმდეგ.

**პეტროგრადის გარნიზონში**

**პეტროგრადი.** 10 აპრ. ფრონტიდან მოვიდა რამოდენიმე დელეგატი და დაათვალიერეს ყაზარმები იმ ხმების შესამოწმებლად, თუ რამდენათ მართალია თითქოს პეტროგრადის გარნიზონის სალდათები არაფერს აკეთებენ. გამოირკვა, რომ სალდათები შეგნებულათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. დელეგატები სრული კმაყოფილი დარჩენ პეტროგრადის გარნიზონ-ის წესრიგით.

**წყალ-დიდობა.**

**ეკატერინოსლავი.** 9 აპრ. დნეპრმა გადმოხეთქა და იმატა. ქალაქის დაბალი ნაწილები წყლით აივსო. აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სწრაფი ზომებია მიღებული მცხოვრებთა დასახმარებლად.

**გერმანიის სოც.-დემოკრატია.**

**სტოკჰოლმი.** 9 აპრ. გერმანიის სოციალისტები შეუერთდნენ ჰოლანდიის სოციალისტების რეზოლიუციას: რეზოლიუცია მოითხოვს ენერგიულ ზომებს ზავის დასაჩქარებლად.

**სალდათის ცოლები**

**პეტროგრადი.** 10 აპრ. თავრიდის სასახლეში გამოცხადდა რამოდენიმე ათასი სალდათის ცოლი და მოითხოვა: ჯამაგირის 20 მანეთამდე გადიდება, სალდათის და აფიცრების ცოლების უფლებრივი გათანასწორება და უკანონო ცოლის კანონიერათ ჩარიცხვა. მანიფესტანტი ქალები მიესალმენ დროებითი მთავრობას და მუშათა საბჭოს.

**ფრონტის სიეზდზე.**

**მინსკი.** 10 აპრ. ფრონტის წარმომადგენელთა სიეზდი სექციებათ დაიყო. ფაცხელი მუშაობა სწარმოებს. მუშაობას სარჩულად დაუდვეს პეტროგ. მუშათა და ჯარისკაცთა თათბირის რეზოლიუციების შინაარსი. განსაკუთრებული ყურადღებით სალდათები ეპყრობიან გლეხთა საკითხს.

**დემოკრატიული რესპუბლიკა.**

**ეკატერინოდარი.** 9 აპრ. გაიხსნა ოლქის წარმომადგენელთა საოლქო სიეზდი; ძირითად ლოზუნგათ გამოაცხადეს დემოკრატიული რესპუბლიკა.

**ფრონტის ჯარის კაც. სიეზდზე.**

**მინსკი.** 9 აპრ. საღამოს კრებაზე გვოზდიოვმა ილაპარაკა პეტროგრადის ამბებზე და მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოების როლის შესახებ. აფიცრებსა და ჯარისკაცთა შორის დამოკიდებულების შესახებ სკობელევმა სთქვა: აფიცრობა აღიზარდა ყაზარმის პოლიტიკის გარეშე იუნკრების შკოლებსა და კადეტთა კორპუსებში. რა უნდა მოვსთხოვოთ ასეთ პირობებში მათ? მთავრობა აფიცრებს ასახლებდა ფრონტზე და არა გზავნიდა. რევოლიუციამ აფიცრების აზროვნებაში დიდი ცვლილება მოახდინა. საჭიროა სალდათები და აფიცრები ერთმანეთს დაუახლოვდენ. წერეთელმა კომენტარიები გაუკეთა პეტროგრადის თათბირის რეზოლიუციებს და განაცხადა: სეპარატიული ზავი დამღუპველი იქნებოდა რუსეთისათვისო, ამავე დროს მან გააცნო კრებას სოც.-დემ. პროგრამა მიწისა და საყოველთაო შეიარაღების შესახებ. დელეგატების ყველა შეკითხვებზე გადაჭრით პასუხს სკობელევი და ჩხეიძე აძლევდენ. ებრაელთა საკითხის შესახებ ილაპარაკა სკობელევმა და სთქვა:

მე როგორც რუსს სასირცხვოთაც მიმაჩნია 20 საუკუნეში ებრაელთა საკითხის ისევ წამოყენება. მას ძველი მთავრობა განგებ ქმნიდა, ჩვენ კი არ გვესაჭიროება და მას რუსეთში ადგილი აღარ უნდა ექნეს. ჩხეიძემ დიდი სიტყვა სთქვა ორ მთავრობიანობის შესახებ. მან სთქვა: ასეთ სინამდვილეში არაფერი არსებობს, უწევენ მხოლოდ მთავრობის მოქმედებას კონტროლს, რომელიც საჭირო და აუცილებელია. ეს ერთმანეთისათვის ზხარის დაჭერაა და არა ბრძოლა. (ჩხეიძეს ავაციებს უკეთებენ და იმღერიან მარსელიოზას). კრება დასრულდა სალდათებისა და აფიცრების შეერთების მეტათ მგრძნობიარე სურათით. სალდათებისა და აფიცრების შორის უთანხმოების შესახებ მქუხარე სიტყვები სთქვეს: ჩხეიძემ, წერეთელმა და სკობელევმა. ჩხეიძესთან მიდის არტილერიის პოლკოვნიკი და ეუბნება: „ნიკოლოზ სიმონისძევ, თქვენ სპეტაკი პატიოსნების კაცი ხართ. მე თქვენი მჯერა", და თვალცრემლიანი კოცნის ჩხეიძეს. ტრიბუნაზე ადის უნტერ-აფიცერი და პოლკოვნიკის გამოსვლას ესალმება. იმართება ოვაციები, მღერიან მარსელიოზას, კრება იხურება.

**ხივაში.**

**ტაშკენტი.** 8 აპრილი. ხივის ხანმა ჯარის უფროსს აცნობა, რომ მან გადასწყვიტა მისცეს ხალხს ფართო დემოკრატიული კონსტიტუცია.

**უკრაინის სოციალდემოკრატია.**

**კიევი.** 9 აპრილი. უკრაინის სოც. დემოკ. პარტიის კონფერენციამ დაადგინა მიმართოს დროებითი მთავრობას—დაიწყოს ზავის შესახებ მოლაპარაკება საერთაშორისო პროლეტარიატის წარმომადგენელთა საშუალებით.

**შრომის ჯგუფის სიეზდი.**

**პეტროგრადი.** 9 აპრილი. დასრულდა სრულიად რუსეთის შრომის ჯგუფის წარმომადგენელთა სიეზდი. გადაწყდა შეუთანხმონ თავისი მოქმედება ყველა სოციალისტურ პარტიებს, მოაწყონ გლეხთა კავშირები, დაუჭირონ მხარი დროებით მთავრობას უკვე მიღებულ პროგრამის განხორციელებაში და შეავსონ მთავრობის შემადგენლობა სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლებით და სხვა.

**ნიუ-იორკი.** 9 აპრ. დიასახლისთა ნაციონალური ლიგა ადგენს ერთ მილიონ ქალისაგან შემდგარ არმიას სასურსათო საქმეების მოსაწესრიგებლათ, უკვე ჩაეწერა რვაასი ათასი ქალი.

**ადესა.** 10 აპრ. რევოლიუციის შემდეგ პირველათ ისტუმრეს ენ ბრძოლაში მავალ ჯარს. გაცილებაში მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა, პარტიებმა, ჯარმა და ურიცხვმა ხალხმა. გენერ. გუბერნატორმა ებელოვმა წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა, რომ ეს პირველი თავისუფალი ჯარია, რომელიც გერმანიის დესპოტიზმის წინააღმდეგ საომრათ მიდისო, სიტყვა დაამთავრა დამფუძნებელი კრების და დემოკრატიული რესპუბლიკის გამარჯვების სურვილით.

**სტოკჰოლმი** 9 აპრ. „ფორვერტს"-ი იტყობინება: გერმანიის სოციალ-დემოკრატიის კომიტეტმა ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, რომლის თანახმათ გერმანიის მუშათა კლასი დაუყონებლივ მოითხოვს სახელმწიფოებრივ უფლებათა სფეროში-გამეფებულ შეუწყობლობათა გაუქმებას, გაუქმებას ბიუროკრატიული რეჟიმისა და სახალხო წარმომადგენლობის დაწესებას; თითოეულ ერს ეროვნულ განვითარების უფლება უნდა ჰქონდეს. ზავი უნდა შეიკრას უანექსიო და უკონტრიბუციო. გაზეთი ესალმება რუსეთის რევოლიუციას და იზიარებს პეტროგრადში მუშათა და ჯარისკაცთა თათბირის მიერ მიღებულ რეზოლიუციას, საყოველთაო ზავის შესახებ.

# ომის დეპეშები.

**პეტროგრადი.** 10 აპრ. აღმოსავლეთ ასპარეზზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. სიწყნარეა აგრეთვე რუმინიის ფრონტზე.

კავკასიის ფრონტზე სპარსეთში ქურთებმა ჩვენი ჯარის საწინააღმდეგო მოქმედება დაიწყეს. შერაბანსთან არაბთა რაზმები ჩვენს ყაზახთა რაზმებს თავს დაესხნენ. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

**პეტროგრადი.** 10 აპრ. პონევეჟის რაიონში გერმანელები ჯარებს თავს უყრიან. განსაკუთრებით მიტავასა და სხვა რაიონებში. ბრძოლა გაცხოველდა სმორგონის, პოსტავსკის, დვინისა და რიგის რაიონებში.

**პარიზი.** 3 აპრილი. მდ. სომასა და უაზოს შუა მთელი დღის განმავლობაში სასტიკი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. სუასონსა და რეიმსის შუა დროგამოშვებითი სროლაა. მტერი რეიმს მძიმე არტილერიიდან ყუმბარებს უშენს. შამპანში, მონგოს მთელ სიმაგრეებზე გერმანელებმა რამდენიმე იერიში მოიტანეს, მაგრამ ჩვენ ისინი მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**ლონდონი.** 10 აპრილი. მესოპოტამიაში, მდ. ტიგრის ნაპირებთან 1600 მეტრით წინ წავიწიეთ და სტაბულატის წინა სიმაგრეები დავიკავეთ, აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ 230 ჯარისკაცი და 9 აფიცერი.

# პირველი მაისობა.

თფილისის მუშათა დეპ. საბჭომ შემდეგი დეპეშა მიიღო: მოსკოვისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა გადასწყვიტეს იდღესასწაულონ პირველი მაისი 18 აპრილს (ახალი სტილით) ყველგან გარდა ტრანსპორტისა და იმ დარგებისა, რომლებიც სურსათს ამზადებენ, დემონსტრაციები და მიტინგები გამართონ ჯართან ერთათ. სადღესასწაულო ლოზუნგები შემდეგია: 1) ინტერნაციონალი, 2) ზავი, 3) ხალხთა ძმობა და 4) 8 საათის სამუშაო დღის დეკრეტი.

დაადგინეს აგრეთვე მომავალ კვირას, 16 აპრილს იმუშაონ და ამ დღის ხელფასი გადადონ ჯარში წითელი ლიტერატურის გასავრცელებლათ. ეს კითხვები უნდა განიხილონ და გაარჩიონ ყველგან და გადაწყვეტილება აცნობონ შემდეგი ადრესით: Москва, областное бюро совѣта раб. и сол. депутатовъ – Соловьевъ и Серапіоновъ.

# ახალი ამბები

დღეს, 12 აპრილს, საღამოს 5 საათზე გაზ. „ერთობის" რედაქციის ბინაზე დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ. გასარჩევია საკითხი პირველი მაისის (18 აპრილი) დღესასწაულის საზეიმოთ გეგმის შესახებ და აგრეთვე ზოგი საორგანიზაციო საკითხები.

— კრება. 12 აპრ. ოთხშაბათს საღამოს 6 საათზედ სასახლეში დანიშნულია მარქსისტ სტუდენტთა და ქალთა კურსების მსმენელთა კრება, საჭიროა ამხანაგები ყველანი დაესწრონ.

— უწესოება ქალაქთა კავშირის თფილისის ლაზარეთებში. სალდათთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარემ ბროდსკიმ განუცხადა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ქალაქთა კავშირის თფილისის ლაზარეთებში დიდი უწესოებაა გამეფებულიო. მაგალითათ დაასახელა ლაზარეთი № 40, რომლის უფროს ექიმათ დანიშნული ყოფილა საქალაქო საავათმყოფოების უფროსი ექიმი და დამატებითი ჯამაგირს იღებს თვეში 500 მან. ლაზარეთში ის თითქმის სრულებით არ დადის და ამის გამო საქმეები აწეწილია იქ. ასეთვე ყოფილა საქმე დაყენებული სხვა ლაზარეთებშიაც. ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოძიება დანიშნა. საგამომძიებლო კომისიაში შედიან: პ. ჰელმიშვილი, აბრამიანი, ბროდსკი, არუთინოვი და ჩერნიშოვი, კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ბროდსკი.

— ამიერ კავკასიის რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა დელეგატების სიეზდმა რკინის გზის საქმეთა მოსაწესრიგებლად აღმასრულებელ კომიტეტში აირჩია შემდეგი პირები: ივ. ზურაბოვი, დიმ. ბაქრაძე, პავ. წულაია, ვიქ. ნინიძე. დიმ ათაბეგი, ისიდ. მალანია, ვარ. ცხადაია, ჯუღელი და ლოპატკო, აგრეთვე სიეზდმა დაადგინა რკინის გზის ბატალიონის ჯარისკაცებმა იყოლიონ ორი წარმომადგენელი თავის მხრივ აღმასრულებელ კომიტეტში.

# სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

**ამხანაგთა საყურადღებოთ.**

რუს. სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტთან არსებულმა კოლეგიამ პროპაგანდისტებისა გადასწყვიტა ამ დღეებში მოაწყოს მოკლე კურსები მარქსისტული მსოფლ მხედველობის გასარკვევათ. წაკითხული იქნება ლექციები და რეფერატები სოციალდემოკრატიული პროგრამა მაქსიმუმსა და მინიმუმზე. აგრარულ, ნაციონალურ და ტაქტიკურ საკითხზე, კურსებზე მსმენელებათ ჩაეწერებიან სტუდენტები, კურსისტკები, სახალხო მასწავლებლები, საშუალო სასწავლებლების უფროს კლასების მოწაფეები, მოწინავე მუშები და სხვები, რომელთაც სურვილი აქვთ პარტიის ხელმძღვანელობით აწარმოონ სოფლათ და ქალაქათ სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა აგიტაცია. მსურველთ ვთხოვთ დაუყონებლივ ჩაეწერონ, ვინაიდან მეცადინეობა ამ ორ-სამ დღეში დაიწყება. დრო და ადგილი კურსების გახსნისა ცალკე გამოცხადდება.

ჩაწერა ხდება თფილისის სოც. დემოკრატიული კომიტეტის ბინაზე, გოლოვინის პროსპექტი, სახლი 12 (გაზ. „ერთობის" რედაქციის ბინის გვერდით).

**მეოთხე რაიონის სოც.-დემ. ორგანიზაციის წევრთა კრება.**

პარასკევს, 14 აპრილს, საღამოს 5 საათზე ქართულ გიმნაზიაში დანიშნულია თფილისის სოც.-დემოკ. ორგანიზაციის მეოთხე რაიონის წევრთა წინასწარი საორგანიზაციო კრება. ამხანაგებს სთხოვენ არ დაიგვიანონ კრებაზე. ახალი წევრების ჩაწერა გრძელდება. კრების წინ ჩაწერა შეიძლება დარბაზის შესავალთან.

# მუშათა და ჯ.-კაცთა დეპ. საბჭოებში.

**ქ. დუშეთი.** 3 მარტს აქ მოხდა კრება მთელი დუშეთის მუშა-ხელოსნების, რომელსაც დაესწრო 93 კაცი. ახსნა-განმარტების შემდეგ თუ რას ნიშნავს მუშათა დეპუტატების საბჭო, იქონიეს მსჯელობა და გადასწყვიტეს აერჩიათ 9 კაცისაგან შემდგარი აღმ. კომიტეტი. წამოაყენეს 14 კანდიდატი, მათგან აირჩიეს ფარული კენჭის ყრით შემდეგი პირები: ლ. სვინდიძე, ს. საფაროვი, ვ. კასრაძე, კოლ. ალამაზიშვილი, ლ. ინაშვილი, თ. ბერძნიშვილი, კ. მელიქოვი, გ. სანთელაძე, და ტუხა კარაული. ამათში არიან ყოფილი თფილისის მუშები და შესაფერი მომზადებაც აქვთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ კანდიდატების წამოყენების დროს ეროვნების შესახებ კრინტიც არა ყოფილა დაძრული. ამ რიგათ დუშეთში ჩაეყარა მკვიდრი საძირკველი ნამდვილ დემოკრატიულ ორგანიზაციას. ეს ამბავი რომ შეიტყეს სალდათების კომიტეტის წევრებმა დიდ სიხარულს მიეცენ და გამოსთქვეს სურვილი მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოების შეერთებით დაახლოვებისა. მუშ. დეპ. აღმ. კომიტეტმა პირველ სხდომაზევე დაადგინა აიკრძალოს მაგარი სასმელებით ვაჭრობა და იმოქმედოს სალდათებთან ერთად. აირჩიეს ციხის და მილიციის შესადგენი კომისია. მეორე დილით ადრე ვტყობილობთ, რომ ციხის უფროსი ღამის სამ საათზე გაიქცაო, მაშინვე ტელეფონებით ყველა სადგურებს შეატყობინეს და იგი დაიჭირეს სად. მცხეთაში. დუშეთში მოყვანის შემდეგ გამოირკვა, რომ ციხის დარაჯების ჯამაგირები და სხვა ფულიც სულ თან გაუტაცნია. გამოირკვა, რომ ციხის ქონებას უწყალოთ სძარცვავდა და ტუსაღებს ხომ მხეცურათ ეპყრობოდა. შეადგინეს შესაფერი ოქმი და სამსახურიდან გადააყენეს, საქმე გამოძიებაშია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოფილი დუშეთის კომიტეტის წევრები: ბ. ყარანგოზოვი და კომპ. დიდი მეგობრები ყოფილან ციხის უფროსის, და იმ დროს, როდესაც ეს ვაჟბატონი ადგილობრივ კოოპერატივის (ფედერალისტების ხელშია) 600 მანეთსა სჭრიდა ბ. ყარანგოზოვი იმის მაგიერათ, რომ ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუსაღების შემწეობით თავის ბალს ამუშავებინებს და პირიქით ფულსაც უბოძებს. დემოკრატიის ინტერესების დაცვაც ამასა ქვიან!

ს. მ.

## თფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლების დელეგატთა კრება.

(დასასრული).

კრება იხსნება ვაჟების პირველ გიმნაზიის შენობაში, ლვინიაშვილის თავმჯდომარეობით. ირჩევა დირექტორისა და ინსპექტორების არჩევის საკითხი. ორატორთა დიდი უმრავლესობა სცნობს სახალხო დირექტორების ინსტიტუტს სრულიად ზედმეტად მის შემდეგ, როდესაც, როგორც უმაღლესი, ისე ყველა დაბალ პირველ დაწყებითი სასწავლებლები დამოუკიდებლად დაუქვემდებარდა სახალხო ინსპექტორებს; ამიტომ კრება მოითხოვს სახალხო დირექტორების ინსტიტუტის სრულიად გაუქმებასა და ნაცვლად ამისა ინსპექტორთა კოლექტივის კოლეგიალურ მართველობის დაარსებას. ამ წინადადებას კრება ერთხმათ ღებულობს. ამის შემდეგ ჯერი მიდგა ინსპექტორების არჩევნებზე. ინსპექტორების არჩევნების შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: დაყოფილ იქნას თფილისის გუბერნია 6 უმთავრეს ნაციონალურ კურიებად და არჩევნები მოხდეს ადგილობრივად რაიონებში, მაგრამ ვინაიდან ეს არჩევნები მოითხოვს დიდ დროს და ამას კი დღევანდელი მომენტი არ ითმენს, გადაწყდა დელეგატთა კრებაზე არჩეულ იქნეს 5 პირიდან შემდგარი კოლექტივი, რომელიც ჩაიბარებს დირექციას და აღასრულებს ინსპექტორების მოვალეობას. არჩეული იქმნა შემდეგი პირები: ჩარექოვი პეტრე, არველაძე კირილე, ჯაფარიძე ვას. მარჩენკო ივ. და ტერ-გრიგორიანცი. ამათ დაევალა აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტის ფუნქციებიც. არჩევნების შემდეგ კრებას მიესალმა თფილისის მასწავლებელთა კავშირის სახელით ბ. შახნაზაროვი რომელმაც თავის სიტყვაში გამოთქვა დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა დაკავშირების აზრი.

ამის შემდეგ ირჩევა მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ეთხოვოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რათა ამა წლის პირველ იანვრიდან სახალხო მასწავლებლებს დაენიშნოს ჯამაგირი 120 მ. თვეში, ყოველ 5 წ. სამსახურისთვის მიემატოს 20 პროც. ე. ი. დღევანდელ სიძვირს გამო კი 40 მ. თვეში. კრებამ ამასთანავე აღნიშნა პოლიტიკურ იდეებისათვის დასჯილ მასწავლებელთა მდგომარეობაც და დაადგინა: ეთხოვოს იგივე კომისარიატს მათი ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე.

შემდეგ გაირჩა დღის წესრიგში დასმული საკითხი შესახებ მასწავლებელთა ნაციონალურ კავშირების დაარსებისა. აქ თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ: პირველი თვლიდა ყოველგვარ ასეთ კავშირების დაარსებას ამ ჟამად დღევანდელ მომენტისათვის საზიანოდ, მეორე კი სასარგებლოდ. ხმის უმეტესობით მეორე წინადადება გავიდა. უკანასკნელად მოხდა არჩევნები მუშათა საბჭოსათვის, საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტში, თფილისის მასწავლებელთა კავშირში და სანზრუნველოს საბჭოში. არჩეულ იქნენ: პირველში მამალაძე და გ. ნაკაშიძე, მეორეში მერაბიშვილი და კაზოხავა, მესამეში ბურჯანაძე და ბუსლაევი და მეოთხეში ჩიმაკაძე და შიუკაშვილი. ყველა ნაციონალისტების კანდიდატები. როგორც ამ უკანასკნელ არჩევნებზე, ისე საერთოდ კრების მიმდინარეობით, ერთხელ კიდევ დამტკიცდა ნაციონალისტების ყოველგან და ყველაფერში შეუფერებელი გამოსვლები. ამ ჯგუფმა, კიდევ გასული წლის საგუბერნიო კრებებზე კარგათ ცნობილ წერეთელ-ხმიადოვების კამპანიის ხელმძღვანელობით, აქაც განიმეორეს ის, რასაც ამჟამათ ჩადიან ისინი ყოველგან ავტონომიის სახელით. ბ. გ. ნაკაშიძემ, თუმცა და სრულებით უადგილოთ, მაგრამ მაინც ეცადა ვითომდა პედაგოგიური თვალსაზრისით გაეშუქებინა ავტონომიის საჭიროება, მაგრამ მან თავისი უშინაარსო ფრაზეოლოგიით ისე აურდაურია ერთმანეთში ყველაფერი, რომ ვერც მომხრემ გამოიტანა მისი ნალაპარაკევიდან გარკვეული ვერაფერი და ვერც მოწინააღმდეგემ. მან გაჭივრების დროს ვითომ ჩხეიძე-ჩხენკელი-გეგეჭკორებიც შეამკო კომპლიმენტებით, მაგრამ ამანაც ვერაფერი გავლენა იქონია და მსმენელზე მაინც მისი პოლიტიკურათ მოუმწიფლებლობის შთაბეჭდილება დასტოვა. მიუხედავად ამისა, კრების უმრავლესობაც ისიც... ავლადიდების გამოდგა და პარტიულ ქინიანობით გატაცებული მას ხანგრძლივი ტაშის კვრით აჯილდოებდა. კრება დასრულდა 9 აპრ. ღამის 12 ს. კრების დადგენილებით და კომისარიატის განკარგულებით ჯერ გაჩხრიკეს და მერე დაბეჭდეს საოლქო ინსპექტორის ბ. სლივინსკის კაბინეთი, რის შემდეგ ბ. სლავინსკი შინაური წესით დაატუსაღეს.

ნოდე.

## სოფლათ.

(წერილი ზემო იმერეთიდან)

ორგვარ შთაბეჭდილებას, ორგვარ გრძნობას განიცდის დღეს სოფლათ მომუშავე. გრძნობა დანგრევით, ხარობს ძველ მტარვალთა ხროვის თავიდან მოცილებას, ხარობს თავისუფლების შუქის შემოჭრით. ხარობს ხალხი, ხარობს არემარე და ეს სიხარული წამსვე გადაედების, მოეფინების ყველა მომსვლელთ. მაგრამ მომსვლელი ჩქარა ერკვევა სოფლის მდგომარეობაში და სიხარულთან ერთათ მწუხარების გრძნობაც იპყრობს. სწუხს, რომ სოფლათ აუარებელი სამუშაოა, ხოლო მუშაკნი ცოტაა; სწუხს, რომ მტარვალთა ბინძურ ხელებს საკმაოთ აურ-დაურევია სოფელი თავის ბატონობის ჟამს, ხოლო მისი გამომწყობი შემოქმედებითი ხელები ცოტაა, სოფელი ნახევრათ დაცლილია. დროებით მთავრობას, აღმასრულებელი კომიტეტების სახით, საზოგადოთ ცუდი მემკვიდრეობა დარჩა მტარვალთა ბუდეების დანგრევის შემდეგ, მაგრამ ყველაზე ცუდი სამემკვიდრო, ეს სოფელი არის. ამავე დროს სწორეთ სოფელს აქვს ნაკლები ყურადღება მიქცეული და ეს არა მარტო დროებით მთავრობის მიერ, არამედ პარტიების მხრიდანაც.

ჩვენში ერთად-ერთი პარტია, ეს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიაა, რომელსაც ესმის ხალხის ენა, მისი გრძნობა, მისი ფიქრები. მასვე შეუძლია მოეხმაროს ამ ხალხს, მაგრამ ამ პარტიის კისერზეა დღეს რევოლიუციის მთელი სიმძიმე. ის პასუხისმგებელია ისტორიის წინაშე და სრულიად ბუნებრივია, როცა პარტია პირველათ ყოვლისა იქ ჩდიგა, სადაც ძველ წესებს სათავეები აქვს, წამსვე იქ აჩაღებს თავის ბრძოლა-ამოქმედებას, სადაც ჯალათთა ხროვის მთავარი ბუდეებია. ბუნებრივია, როცა პარტიას უმთავრესი თავისი ძალა, საუკეთესო კორპუსები, საუკეთესო სარდალთა მეთაურობით იქ ჩაუყენებია, სადაც თავისუფლების დამკვიდრებას საფრთხე მოელის.

მაშინ, როცა მუშათა პარტია მთავარ პოზიციებს მოედვა, მაშინ, როცა ის სათავეებში საქმიანობდა, უსაქმო პარტია მოსულა სოფლათ, მაგრამ მას საქმის მაგიერ სოფელში ჩხირკედელობია გაუჩაღებია, სიკეთის მაგიერ ღვარძლი უთესია. მათი მქადაგებელნი მისულან სოფლათ ხალხის გადასაბირებლათ, ხოლო ამის მისაღწევათ თან მიუტანიათ ჭორების გოდორი. საკვირველი არაა, როცა ასეთ მოციქულებს პასუხიც საკადრისი მიუღიათ ხოლმე აქ თუ იქ, მაგრამ ჩვენ კი ეს მით უმეტეს გვავალებს მივხედოთ სოფელს.

დღეს სოფელი უკვე შემდეგარია ნგრევაშენების გზაზე, უკვე ერთი ხანია მუშათა პარტიამ გამოყო ზოგი ძალები ცენტრებიდან სოფლისთვის, მაგრამ საკმაო კი ჯერ არ არის, ვინაიდან საქმე უთვალავია. ამიტომაც, საჭიროა ქალაქებმა კიდევ მოირჩინონ ძალები, ხოლო უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს წაყვანილთა დაბრუნებას. საჭიროა დაუყონებლივ დაუბრუნდენ სამშობლოს ყველა ისინი, ვინც უნებლიეთ დააცილეს მას. ბევრი უკვე მოვიდა ან მოსდის, მაგრამ მოდიან ქალაქებში. საჭიროა ყველა მან, ვინც ციმბირიდან ან საკატორღო ციხეებიდან ახლათ ბრუნდებიან ყველამ საჩქაროთ მიაშუროს იქ, საიდანაც დაიწყო მისი მოღვაწეობა, სადაც მას იცნობენ, სადაც ენდობიან, სადაც ელიან. განსაკუთრებით საჭიროა ორგანიზატორები.

ბევრი თავსატეხი კითხვაა დღეს სოფლათ. ყველაზე საჩქარო, ეს სასურსათო კითხვაა. საჭიროა ყოველი ღონე, ყოველნაირი ზომები მთავარ სასურსათო კომიტეტისა და კოოპერატივთა კავშირის მიერ, რომ სიმინდი და ფქვილი დროზე მიიღოს სოფელმა, დროზე მოისპოს აქ შიმშილის აჩრდილი და თან ჩარჩთა თარეში. საჭიროა აგრეთვე საჩქაროთ მოწესრიგდეს ნიხრები დაბებისათვის, რომლებიც სოფელს თხოვენ იაფათ და თვით კი ყიდიან ძველებურათ. ხვნა-თესვის დროა და ბუნებრივათ თავი წამოყო აგრარულმა საკითხმა. საჭიროა საჩქაროთ დაარდეს სოფლათ შერეული კომისიები, გლეხთა და მემამულედან არჩეულები, რომლებიც დააწესებენ ზომიერ ღალას და ასე ამ კითხვას გადაჭრიან უკონფლიქტოთ. ეს აუცილებელია, რომ ყანები დაუთესავი არ დარჩეს და გაისათაც სიმინდის კითხვა თავსატეხათ არ დაგვირჩეს. ამ მიზნის მისაღწევათ ძალა უნდა დაატანონ აღმასრულებელმა კომიტეტებმა გაჯიუტებულ მხარეს იქ, საცა შერეული კომისია ნებაყოფლობით ვერას გაარიგებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტყეებს. საჭიროა ეხლავე ცხოვრებაში გატარდეს ჩვენი სატყეო პროექტი—მუნიციპალიზაცია ყველა ტყეების, დიდი იქნება ის თუ პატარა, წვრიმალი ტყე თუ სხვიმალი და ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, გლეხს თუ თავადს. საჭიროა აღმასრულებელმა კომიტეტებმა თვით მიიღონ ზომები ტყეების დასაცავათ და ამ მიზნით ტყის მცველებს მიუმატონ არჩეული პირები დასახმარებლათ. ამავე დროს აქედანვე უნდა იზრუნონ საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტებმა სატყეო სამმართველოებთან შეთანხმებით, უზრუნველყონ მცხოვრები საზამთრო შეშით.

სოფლათ ბევრს აღელვებს ძველი წესებისაგან ჩადენილი და დღეს გაგრძელებული უსამართლობა ბატონ-ყმობის ნაშთების გარშემო. საქმე იმაშია, რომ ბევრმა მებატონემ, გაჯავრებულმა იმ საცოდავ კანონითაც კი, რაც მესამე დუმამ სანადელო გლეხების შესახებ გამოსცა, ისარგებლა კანონით და გლეხებს წაართვა ან დღეს ართმევს ე. წ. ჩამონაჭრებს, რაც ხშირად სანადელოს აღემატება და რის თანხმობა... სიგანით წარმოსდგა და სოფლის კომიტეტებიც რჩევა-დარიგებას თხოვენ ქალაქელ ძმებს. აქ ორი პასუხი შეუძლებელია: **ჩამონაჭრები გლეხების იყო და გლეხებს უნდა დარჩეს სრულ საკუთრებათ.** საეჭვოა მხოლოდ ისაა, რომელი ჩამონაჭერის გაყიდვაც უკვე მოუსწრია ყოფილ ბატონს. აქ შუაში ერევა მყიდველის (უმთავრესათ იგივე გლეხის) ინტერესები და ძალაუნებურათ კითხვა დროებით უნდა გადაიდვას. იქნებ შიმდეგში გამოინახოთ რაიმე გამოსავალი. რაც შეეხება საზოგადოთ მიწის საკითხის მოწესრიგებას, სახაზინო, სამონასტრო გინდ კერძო მემამულეთა კონფისკაციას გლეხთა სასარგებლოთ, აქ გლეხები თავს იჭერენ და უცდიან საიმპერიო კანონების შემუშავებას. ეს კითხვა ჯერ მხოლოდ თეორიულათ იდგას და ასე იქნება საარჩევნო პლატფორმებშიაც.

სოფელს აღელვებს მობილიზაციის გარშემო არსებული უსამართლობაც. საქმე იმაშია, რომ ბევრი ოჯახი სულ დაცლილია მუშახელისაგან. სახლში მარტო მოხუცი მშობლები და წვრილი ცოლშვილი დარჩენიათ მაშინ, როცა ომში სამი ძმა წაუყვანიათ და ზოგგან ოთხიც. ასეთი ოჯახებიდან მოხუცი მშობლები ითხოვენ უნდა ერთი შვილის დაბრუნებას მაინც. საჭიროა საგუბერნიო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა, უფრო კი ამ საბჭოების ამიერ კავკასიის ცენტრმა აღძრას კითხვა მთავარ შტაბში, რომ მესამე შვილები „ოტპუსკებით" მაინც გაუშვან დროებით. საყურადღებოა ამ საბჭოების მიერ აგრეთვე ხალხის ის თხოვნა, რომ ხელახლა შედგეს სია ჯარისკაცთა ოჯახებისა დახმარების შესახებ, ვინაიდან მწერალ-მამასახლისების წყალობით ბევრი სულ არ ღებულობს ან ძალიან ცოტას იღებს ხაზინიდან დახმარებას, მაშინ, როცა ბევრი ზედმეტს იღებს. არის თურმე ისეთი შემთხვევაც, როცა სრულიად უკანონოთ იღებენ ფულებს. საჭიროა ხელახალი სიის შედგენა სოფლის კომიტეტებს მიენდოს. მათვე უნდა გამოარკვიონ (დავალებით) უკანონოთ მიღებული ფულები, რომ ის იმას დაუბრუნდეს, ვისაც ეკუთვნოდა.

მე აქ მიუთითე დღიურ კითხვებზე, რიც მოწესრიგება აუცილებელია და საჩქაროც, რომ სოფლათ მალე დამკვიდრდეს წესიერება და შესაძლებელი გახდეს შემოქმედებითი მუშაობა. დღიურ კითხვებთან ერთათ, რასაკვირველია, ჩვენ ვერ დავივიწყებთ საიმპერიო პოლიტიკურ და სოციალურ კითხვებს. ორგანიზატორს თან უნდა ახლდეს პროპაგანდისტი. ჩვენი ვალია გაურკვიოთ ხალხს მომენტის ყველა კითხვები ცალ-ცალკე, საშუალება მივსცეთ მას შეგნებულათ მიიღოს მონაწილეობა როგორც იმპერიის, აგრეთვე საკუთარი მხარის შენებაში.

ზ. დათიაშვილი

## მწუხარების დღე.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

26 მარტს საღამოს 10 საათზე პეტროგრადში, ჩვენ სახელოვან დეპუტატ კარლო ჩხეიძის დიდი უბედურება შეემთხვა. მისს 15 წლის ვაჟს, ამხანაგთან ყოფნის დროს უცაბედად გაუვარდა რევოლვერი და სასიკვდილოდ დაიჭრა შუბლში. ამ დროს კარლო იმყოფებოდა მუშათა და ჯ. კ. დეპ. საბჭოში, სადაც ის ნაკისრ მოვალეობას ასრულებდა. მას მაშინვე შეატყობინეს ეს თავზარ დამცემი ამბავი. ადვილი წარმოსადგენია თუ რა გავლენას იქონიებდა ასეთი უბედური შემთხვევა მამაზე, მაგრამ ის მაინც 1 საათამდის განაგრძობდა თავის მოვალეობის ასრულებას. შეაღამის 2 საათზე, როდესაც დაბრუნდა ბინაზე თავისი საყვარელი შვილი სამუდამოთ გაცივებული დახვდა.

დილით 27 მარტს მის ბინაზე თანაგრძნობის გამოსაცხადებლად მივიდენ სათათბიროს წევრები, მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლები, კაკი წერეთელი, ისიდორე რამიშვილი და მრავალი დეპუტატი. 29 მარტს კარლოს ბინაზე მოგროვდა მრავალი ხალხი. 4 საათზე მიცვალებული გამოასვენეს, ქუჩაში უცდიდა დიდი საზოგადოება, ადგილობრივი გარნიზონი და სამხედრო მუსიკა, ქუჩაში გამოსვენების დროს ჯარმა ცხედარს სამხედრო სალამით და სამგლოვიარო მარშით მიეგება. შემდეგ პროცესია დაიძრა ვაგზლისკენ. მიცვალებულის ცხედარს ამკობდა მრავალი გვირგვინი. კუბო მოქონდათ დეპუტატს კერენსკის და სტუდენტებს. 5 საათზე მოასვენეს ნიკოლაევის სადგურზე. აქ წარმოსთქვეს სიტყვა. განსაკუთრებით მგრძნობიარე სიტყვით მიმართა დოლონაძემ, სტუდენტ კირტაძემ და ერთმა რუსის მუშამ, რომელმაც თავისი მეტად მგრძნობიარი სიტყვით ბევრს იქ დამსწრეს აუცრემლა თვალები. საღამოს 10 საათზე მიცვალებულის ცხედარი ისიდორე რამიშვილის და სერგო ჟორჟოლიანის თანხლებით ჩქარი მატარებლით გამოასვენეს ბათუმში. ყოველთვის და ყოველგან გმირი კარლო ამ შემთხვევაშიც გმირათ დარჩა. მიუხედავათ ასეთი საშინელი მწუხარებისა, მას ერთი საათიც არ შეუწყვეტია მუშაობა.

მიხ. ბაღუნ იშვილი.

# მუშათა ცხოვრება.

**ბეჭვდითი საქმის მუშათა კრება.** კვირას, 9 აპრილს შესდგა მეორე კრება ბეჭვდითი საქმის თფილისის ყველა მუშებისა, რომელიც მოწვეულ იყო საორგანიზაციო კომისიის მიერ.

კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ვასილ ივანოვი, თავმჯდომარის ამხანაგათ ვ. ბოლქვაძე, მდივნათ ი. ბერგმანი.

კრების წეს-რიგი გამომუშავებული იყო შემდეგ ნაირათ: 1) მოხსენება საორგანიზაციო კომისიისა; 2) განხილვა და დამტკიცება პროფესიონალურ კავშირის წესდებისა; 3) საწევრო გადასახადის განსაზღვრა; 4) არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა და 5) მოხსენება კვირაობით შესვენების შესახებ, (ეს უკანასკნელი მუხლი ბოლოს მოხსნეს).

საორგანიზაციო კომისიის მდივანი ფართეთ აცნობს საქმის ვითარებას დამსწრე წევრებს. სხვათა შორის ის ატყობინებს კრებას, რომ ფოტოგრაფიის ქარხნის მუშებს თავიანთავად სურვილი განუცხადებიათ ბეჭვდითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირში ჩაწერისა; ხოლო 15 კაცისაგან არჩეულ საორგანიზაციო კომისიას მათთვის წინადება მიუცია, რათა მათ ამ კომისიაში თავიანთი წარმომადგენელი გამოეგზავნათ, მათაც 5 კაცი ამოურჩევიათ და ამგვარათ, არჩეულ საორგანიზაციო კომისიას კიდევ ხუთი კაცი მიმატებია. სწორედ ამ მოსაზრებით საორგანიზაციო კომისიას ბეჭვდითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის წესდებაში შეუტანია: კავშირის წევრებათ შეიძლება იყვნენ ფოტოგრაფიის ქარხნის მუშებიცო.

ამ საორგანიზაციო კომისიას, გარდა წევრების ჩაწერისა და წესდების გამომუშავებისა, თავის არსებობაში ბევრს შემთხვევებთან ჰქონია საქმე. მაგალითად: „ქართლის" სტამბის მუშების გაფიცვა, (რომელიც ამ კომისიის შეთანხმებით დაუბოლოვებია), აგრეთვე გაზ. „ჰორიზონი"-საც. ამავე კომისიისთვის თხოვნითა და პირადათაც მიუმართავთ სტამბა „ნადეჟდას" ამხანაგ მუშა ქალებს, რომელთაც თურმე დღეში ამუშავებენ 10 საათს და თვიურ ჯამაგირს 5 მანეთს აძლევენ. ისინი დაქირავებული ყოფილან „ქალების სამზრუნველო საზოგადოებისაგან". ამ კომისიის წევრების მოლაპარაკების შემდეგ ზემო აღნიშნულ მუშა ქალებისათვის მზრუნავ „საზოგადოებას" წაუმატებია ხუთ-ხუთი მანეთი. ამაზე უარეს მდგომარეობაში ყოფილან ტიგ. ნაზარიანცის სტამბის მუშებიც, რომელთაც თხოვნით მიუმართავთ ამ კომისიისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ სტამბაში მხოლოდ გადმოხვეწილი მუშები მუშაობენ თურმე. ამ ზემუშათა საბჭოს დელეგატებისას—წინადადებით მიუმართავს კომისიისათვის, რათა მას, როგორც პროფესიონალურ კავშირის დროებით ხელმძღვანელს, გაზეთზე მომუშავე მუშების ყურადღება მიექცია იმ წერილებისთვის, რომელთაც აშკარა პროვოკაციული აზრი ექნებოდა და აღმოჩენისთანავე ის წერილი წარედგინათ კომიტეტში. ასეთი წინადადება კომიტეტისა გამოუწვევია იმ რეაქციონურ გამოსვლებს, რომელიც უკისრია ზოგიერთ ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ გაზეთებს; მაგალითად გაზ. „საქართველოს". ამ კომისიას თავის მსჯელობის შემდეგ მოუწვევია თფილისის გაზეთებზე მომუშავე მუშების კრება. კრებას, დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ, გამოუტანია თავისი რეზოლიუცია*) დადებითად.

დაასასრულ მდივანი მოუწოდებს კრებას, რომ გამგეობის წევრებად ენერგიული პირები აირჩიონ.

ამის შემდეგ მოხსენებას აკეთებს ხაზინადარი, რომელიც აღნიშნავს, რომ წევრები ხალისიანად ეწერებოდნო, ჯერ ჯერობით წარმოდგენილ წიგნაკებში პროფესიონალურ კავშირში ჩაწერილი ყოფილა 593 წევრი. ამათში 37 მუშა ქალი. პროფესიონალურ კავშირში შესასვლელი შემოსულა 296 მან. 50 კ. აქედან დახარჯულია 98 მან. 87 კ. ამავე ხარჯში შედის 61 მან. 70 კ., რომლითაც შეძენილ იქმნა პროფესიონალური ბაირაღი (ეს ფული, თანახმად საორგანიზაციო კომისიის დადგენილებისა, უნდა შეგროვილ იქნას ყველა ქარხნებიდან და კასაში გადაეცეს).

დასასრულ ხაზინადარი მიმართავს კრებას: ამხანაგებო, თუ დროებით მთავრობის გამოცემული სესხი თავდებია თავისუფლების გამაგრებისა; აგრეთვე თქვენი წევრათ ჩაწერა კავშირში თავდებია მისი აყვავებისა!

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა წესდება. მცირე შესწორების შემდეგ იგი დაამტკიცა კრებამ.

საწევრო გადასახადად მიიღეს 1 პროც. ხოლო ჯარისკაცთ 25 კ. თვეში.

დასასრულ მოხდა არჩევნები. ასარჩევი იყო 18 გამგეობის წევრი, 5 მათი კანდიდატი; 5 სარევიზიო კომისიის წევრი და 2 მათი კანდიდატი. სარევიზიო კომისიის არჩევა აშკარა კენჭის ყრით მოხდა, აირჩიეს ვას. ივანოვი, ვ. ბოლქვაძე. ალ. რუხაძე, ბუიანოვი და შმიდტი; კანდიდატებად: კაპუსტიანოვი და ხარაზიანი.

გამგეობის წევრების არჩევა ფარულად მოხდა. არჩეულ იქმნენ; ვალ. ივანოვი, ი. ბეზუხი, ი. ბერგმანი, კ. გაბუნია, ს. თოდრია, . სინილკინი, ლ. პუშინი, მიზგისერი, დ. ბოჩაროვი, კ. ილატოვსკი, პუგაჩოვი, მ. თამაზაშვილი, ფ. პიმენოვი, დ. ფერაძე, სხირტლაძე, ნ. ჯიბლაძე, კ. კილაძე, დ. ჭელიძე. მათ კანდიდატებად: ი. ანდრიანოვი, ალშევსკი, ლაზრევი, სარდარიანი და ნაცვლიშვილი. კრება 3 ნახ. საათზე გათავდა,

მიხ. თ—შვილი.

P. S. აქვე ვაუწყებ ახლად ამორჩეულ გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებს და ამათ კანდიდატებს, რომ პირველი კრება დანიშნულია ოთხშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 6 ნახ. საათზე, საავადმყოფო კასის შენობაში (Судебная, 4).

მ. თ.

**რკინის გზის მთავარი საწყობი.** 5 აპრილს მოხთა რკინის გზის მთავარ საწყობის კანტორის მოსამსახურეთა, არტელის და მუშების კრება, კრებას დაესწრო 217 მოსამსახურე, რომელმაც ერთხმათ აირჩიეს კრების თავმჯდომარეთ მეხუთე განყოფილების არტელის უფროსი მათეოზოვი და მდივნათ კი კანტორჩიკი მაგერა. კრების უმთავრესი საგანი იყო საწყობის უფროსის დათხოვნა სამსახურიდან და მისი მეორე თანაშემწის ჩამოყენება მოანგარიშეთ. კრებამ მსჯელობის და ხანგრძლივი კამათის შემდეგ წამოაყენა უფროსის ბრალდება, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ავიწროებდა მოსამსახურეთ. კრებამ დაადგინა: აღძრან რკინის გზის კომიტეტთან შუამდგომლობა, რომ უფროსი სამსახურიდან დათხოვნილ იქნას და მისი მეორე თანაშემწე კი ჩამოყენებული ძველი მისი თანამდებობაზე ისევ ძველი ჯამაგირით. უფროსის ალაგზე უნდა დაინიშნოს სხვა საწყობის მოსამსახურეების შეთანხმებით.

დამსწრე.

**ბათუმის ბეჭდვითი საქმის მუშების კრება.** 18 მარტს მოხდა კრება ბათუმის სტამბების და წიგნ-საკინძავ სახელოსნოების მუშებისა. თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს მუშათა საბჭოს დეპუტატი ასოთ ამწყობი მაქსიმე წულაძე. თავმჯდომარემ გრძნობიერი სიტყვით აუხსნა ბეჭდვითი საქმის მუშებს მათი მდგომარეობა და მოუწოდა პროფესიონალური კავშირის მოწყობისაკენ. კრებამ გადასწყვიტა აირჩიონ კომისია წესდების შესამუშავებლათ. აირჩიეს: გ. ღლონტი, გ. ანდრეევი, ი. კვანტალიანი, კაპელიოვიჩი კოლ. ლორთქიფანიძე.

გ. ღლონტი.

**ს. სარაყამიშში მომუშავე ტრანსპორტის მუშების და მოიჯარადრეთა საყურადღებოთ. დ. ჩოხატაური.** „აზრის" 18 დეკემბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი ს. სარაყამიშში მომუშავე ტრანსპორტის მუშებისა ბ.ბ. მოიჯარადრეთა დ. პ. ძნელაძის და ვ. მგალობლიშვილის მიმართ, რომლითაც ვეკითხებოდით მათ ს. სარაყამიშში დახოცილი ხარების ფასების აღების შესახებ. ბ.ბ. მოიჯარადრეებმა აღნიშნულ წერილზე პასუხის გაცემაც არ იკადრეს, რაც ამტკიცებს ფულების აღების და გაფლანგვის ეჭვს. აღნიშნული მოიჯარადრეთა აგენტი ანტონ ძნელაძე კი დღემდე აღყუებდა მუშებს და ფულების დარიგების ვადათ სხვა და სხვა დროს ნიშნავდა. დრო გადიოდა და ფულები არ სჩანდა.

4 აპრილს დ. ჩოხატაურში, ოზურგ. მაზრის ყველა საზოგადოებიდან გამოცხადდა მუშების რწმუნებულები რიცხვით 12 კაცი. შესდგა კრება და გაიხსნა ნ. ბერაძის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო სათათბირო ხმით 40 კაცი. ამ. ტათაძე აკეთებს მოხსენებას და ხსნის თუ რამდენი ზარალი მოუვიდა გურიას საერთოდ და კერძოთ მათ უკანონო ტრანსპორტის გამოწყობით მოიჯარადრეთა მადის დასაკმაყოფილებლად, რამდენი ამხანაგი იქმნა ტრანსპორტიდან ფეხარ გაკრული, ვითარცა დამნაშავენი, იატაფით გამოგზავნილი „ვოინსკი ნაჩალნიკთან" და გაგზავნილი პოლკებში. მადაგახსნილი მოიჯარადრენი და მათი აგენტი ამით არ დაკმაყოფილდა და ომში წასასვლელ 300 ჯარისკაცთა კუთვნილ 80 ათას მანეთის გაფლანგვას ლამობენ. მან მოუწოდა ამხანაგ მუშების რწმუნებულთ მიიღონ უკიდურესი ზომები ფულების ასაღებად.

კრება ღებულობს წინადადებას და ერთხმად ადგენს: დაიჭირონ მოიჯარადრეთა აგენტი ანტონ ძნელაძე, რომელსაც ბრალი ედება: 1) უკანონო ტრანსპორტის გაწყობაში. 2) მისი მიზეზით მუშების უკიდურეს შევიწროებაში და 3) უმთავრესად ხარის ფულების დარიგების შესახებ ზომების მიუღებლობაში. კრების ოქმი გადაეცა დ. ჩოხატაურის დროებითი მთავრობის კომისარსა და აღმასრულებელ კომიტეტს და ეთხოვა ხვალ ომში წასასვლელ 300 ჯარისკაცთა მოთხოვნილება იქმნას დაჩქარებით დაკმაყოფილებული სასტიკი ზომების მიღებით.

ამა წერილით ვაცხადებთ ბ.ბ. მოიჯარადრეთა საყურადღებოდ, რომ მათი აგენტი იქნება პირველი მსხვერპლი მათი ჯიუტობისა, უკეთუ ისინი არ მოისურვებენ დატყუებული ხალხის დაკმაყოფილებას, და მათი მშობლების უკანასკნელი ქონების თითო ძროხა ხარის ფასს გაფლანგვენ.

ამხ. რწმუნებულების და ს. სარაყამიშში...

*) სამწუხაროდ ზოგიერთა გაზეთებში ეს რეზოლიუცია დამახინჯებულად არის დაბეჭ-

რე კრება დანიშნული იქნება დ. ჩოხატაურში 30 აპრილს. დაესწარით ყველამ, დრო დაყოვნებას არ ითხოვს. პირველ მაის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოების მოწოდების თანახმად ომში უნდა წავიდეთ შინაურ და გარეშე მტერთაგან რუსეთის თავისუფლების დასაცავად და მის გასამტკიცებლად დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებით.

დრო დაყოვნებას არ ითხოვს! დაესწარით ყველამ. ხელმძღვანელი ტათაძე.

# რევოლიუცია პროვინციაში.

**კახეთი.** (ს. ველისციხე). ველისციხეში ცნობა, ძველი მთავრობის დამხობის შესახებ, მოვიდა მარტის 3 ში.

7 მარტს ს. გურჯაანში შესდგა დიდი მიტინგი, რომელსაც რამოდენიმე ათასი კაცი და დედაკაცი დაესწრო გარშემო სოფლებიდან, ილაპარაკეს: დარჩიამ, ალ. ჩიქოშვილმა და სხვა ამხანაგებმა, რომლებმაც საუკეთესოთ განუმარტეს ხალხს მომხდარი საქმის ვითარება. ხალხი დიდის აღტაცებით უსმენდა ორატორებს და შესაფერისად აჯილდოვებდა ტაშის ცემით და „ურას" ძახილით. 8 მარტს ს. გურჯაანში შეიკრიბნენ გარშემო სოფლების მოწინავე ელემენტები და ამორჩეულ იქმნენ ყველა სოფლებიდან თითო წარმომადგენლები. ველისციხის წარმომადგენლათ იქმნა ამორჩეული ალ. ზაირამაძე. მას კანდიდატათ ვალარშაკ პეტროსოვი. 9 მარტს ს. ველისციხეში მოხდა კრილობა ადგილობრივ კომიტეტს შესადგენათ. არჩევნებამდე ალ. ზაირამაშვილმა ხალხს წაუკითხა სია იმ პირებ ს, რომელნიც ღირსნი იყვნენ კომიტეტში შესვლისა.

მაგრამ მღვდელ თავად ვაჭართაგან მოჯადოებულმა ხალხმა გამოუცხადა ალ. ზაირამაშვილს: არც შენ გვსურხარ და არც შენ სიაში დასახელებული პირებიო. ამის შემდეგ მათგან ერთმა წამოაყენე სია, რომლის წყალობითაც ამოირჩიეს 1 თავადი, სამი მღვდელი, 1 მასწავლებელი და ორიც ვაჭარი. ამის შემდეგ ალექს. ზაირამაშვილი და ნ. გვარამაძე ცდილობენ მოეწყოთ გლეხთა საბჭო, რისთვისაც მართავდნენ კრებებს, მაგრამ გამოჩნდნენ ბნელი ძალები, რომლებმაც ხალხში ხმა გაავრცელეს ვითომც მათ სურდეთ სომეხ-ქართველნი ერთმანეთს წაკიდონ, ასე, ბნელი ძალების წყალობით ალ. ზაირამაშვილმა და ნიკ. გვარამაძემ ხალხში დაკარგეს ნდობა. ეს გაიგო ს. მაჭავარიანმა, მოვიდა ველისციხეს რამდენიმე ამხანაგით და აუხსნა ხალხს გლეხთა საბჭოს მნიშვნელობა. მაშინ კი ხალხი მიხვდა რაშიც იყო საქმე. სასწრაფოთ ამოირჩიეს საბჭოს წევრებათ თექვსმეტამდე გლეხი, მათ შორის ალ. ზაირამაშვილი და ნ. გვარამაძეც. **ჯიბილა.**

**სოფელი ავჭალა, თფილისის მაზრა** კვირას 25 მარტს შესდგა ამ სამამასახლისოს მცხოვრებთა მიტინგი, რომელშიაც იღებდენ მონაწილეობას შემდეგი სოფლები: ზემო და ქვემო ავჭალა, გლდანი, მამკოდა და მშრალხევი. მიტინგს დაესწრო დაახლოვებით 1000 კაცი და ქალი. აგრეთვე დაესწრნენ ზემო ავჭალაში არსებული მცირეწლოვან დამნაშავეთა სასწავლებლის მოწაფეები, დირექტორ ჭყონიას მეთაურობით. საათის 11-ზედ თფ. მუშ. საბჭ. სახელით კრება გახსნა ავჭალის მცხ. ლუკა ბერიტაშვილმა, მიულოცა თავისუფლება და წინადადება მისცა თავმჯდომარე აერჩიათ. თავმჯდომარეთ აირჩიეს კირილე ჭყონია. საბჭოს სახელით ილაპარაკეს და გააცნეს დღევანდელი მდგომარეობა და შემდეგ თუ რა უნდა გააკეთონ; პრ. ქარცივაძემ და ლ. ბერიტაშვილმა ილაპარაკეს, რომელთაც ხალხი დიდის ყურადღებით უსმენდა და ბოლოს ამორჩეულ იქნა 13 კაცისაგან შემდგარი გლეხთა საბჭო, მიიღეს რეზოლიუციები, რომელიც გაეგზავნა კარლო ჩხეიძეს, დროებითი მთავრობას და ნოე ჟორდანიას, —იმავ დღესვე შეიკრიბნენ საბჭოს წევრები, დაბეჭდეს სოფლის სამართველო, ჩამოართვეს სტრაჟნიკებს იარაღი და დაუნიშნეს 27 მარტისთვის ძველ მოხელებს, რომ მოსულიყვნენ ყველა ანგარიშების ჩასაბარებლათ. 27 შესდგა 1 კრება საბჭოსი, სადაც ამოირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი,—თავმჯდომარე კირილე ჭყონია, ამხანაგე წეთ ვაცაძე, წევრები; ბერაია, წამალაშვილი და გიორგობიანი; გადასწყვიტეს სამართველო გადაიტანონ ქვემო ავჭალაში, დაადგინეს იყოლიონ 6 მილიციონერი, რომელთაც თვეში მიეცემათ 50 მ. ნ. მდივანს 60 მან. და აგრეთვე სხვა კითხვები, როგორც საბჭოს ისე აღმასრულებელ კომიტეტის წევრება საქმისადმი სიყვარული ეტყობათ. **იქაური.**

**სამურზაყანო.** საერთო აღფრთოვანებამ სამურზაყანოელებშიდაც პოვა გამოძახილი. როგორც ყველგან, აქაც არჩეულ იქნა კომიტეტები, როგორც თვითეულ საზოგადოებაში, ისე უბნის. პოლიციელები ყველგან გადააყენე და მათ მაგივრობას სამაზრო კომიტეტი და მილიციონერები ასრულებენ. არჩევნები კომიტეტებში სასურველად დასრულდა. საუბნო კომიტეტში თითქმის ყველა ს. დ. მოხვდენ. ცდა, ძველი წყობილების მოტრფიალების, რომ გაეყვანათ თავისიანები, მათთვის სამარცხვინოთ დამთავრდა.

26 მარტი კი სამურზაყანოელებისთვის ისტორიულ დღეთ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს მოწვეული იყო ხალხი, რომ ფიცი მიეღოთ ახალი მთავრობისადმი ერთგულებაზე. ჯერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სულის მოსახსენებლათ. სიტყვით მიმართა ხალხს მღვ. ს. სვანიძემ. ილაპარაკეს კომიტეტის წევრებმაც: ზ.ზ. გეგიამ, შარიამ, გულუამ და სხვ. შემდეგ კი ხალხმა მიიღო ფიცი.

აი ამ დღეს მოხდა ის, რის წარმოდგენაც ძნელი იყო ყველასათვის. ამ ზღვა ხალხთან თავისი ნებით გამოცხადდენ ის ძველი ყაჩაღები, რომლებიც მთელ სამურზაყანოს და სამეგრელოს შიშის ზარსა სცემდენ. ეს მით უფრო გასაკვირალი იყო, რომ პირველ დღეებში ძველი მთავრობის დამხობისა, მათ უფრო გაახშირეს მგზავრების ცარცვა და ქურდობა. მშვენიერნი სანახავნი იყვნენ ეს ლომი ბიჭები (18 კაცი) შუა მოედანზე გამოსულნი და მორცხვათ თავდახრილნი, განაცხადეს: ძველ მთავრობას თავს შევაკლავდით და არ დავნებდებოდით, თქვენ კი სიამოვნებით გნებდებით და ყოველივე გადაწყვეტილებ ს, თუ გინდ თავის მოკვეთას, სიხარულით შევხვდებებითო. ხალხმა მიიღო რა მათი ვაჟკაცურათ მოქცევა მხედველობაში, აპატიეს ყველაფერი და მიიღეს საზოგადოების პატიოსან წევრებათ. სამი მათგანი კი, რომლებმაც აღიარეს ახალ მთავრობის შემდეგ ბოროტების ჩადენა (ორხელ გაძარცვეს სოხუმისკენ მიმავალი დილიჟანები) ისინი დააკავეს, რათა დაუბრუნონ მგზავრებს წართმეული ფული.

ამ დღესვე გამოცხადდენ ყველა დეზერტირები და პირობა დადვეს პირველ მოთხოვნილებისათანავე მზათ ვართ დავბრუნდეთ ჯარში და შევასრულოთ ჩვენი მოვალეობაო.

პატარა ბავშვ ქურდები კი თითქმის ყველანი დაჭერილნი არიან. სახეში აქვთ მათი საზოგადო სამუშაოზე მოხმარა.

ასე ამ რიგათ სამურზაყანოს და სამეგრელოს დღეიდან საშუალება ეძლევა თავისუფლად ამოისუნთქოს და თვითეული მოქალაქე დარწმუნებული იყოს, რომ მათ კერძო საკუთრებას და სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ მოელის.

ვუსურვებთ ადგილობრივ ახალ მთავრობას კვლავაც ასე კარგათ წაეყვანოს საქმეები ხალხის საკეთილდღეოთ. **მეურნე.**

**ზემო სვანეთი.** რუსეთის დიდი რევოლიუციის ბრწყინვალე შუქმა სვანეთსაც მოფანა მადლიანი სხივები. თავისუფლება უმთავრესად ზემო სვანეთს ეჭირება; იგი ყოველ მხრივად დაჩაგრული იყო და დღეს, გვწამს მასაც ეშველება. ვაი, რომ შეუგნებლობა და სიბნელე მეფობს სვანეთის გლეხკაცობაში და ადგილობრივ არავინა გვყავს ისეთი, რომ მომენტს და საქმის ვითარება გააშუქოს და სვანეთი სწორ გზაზე დააყენოს. ვინც გვყავდა და ვისაც ვენდობით, ის დღეს სვანეთში არ არის და არა მკითხე ადამიანებმა იკისრეს მეთაურობა. დღეს თავი გამოყვეს სვანეთში კარგათ ცნობილმა კოწია და თენგიზ დადეშქელიანებმა. კოწია დადეშქელიანს ვინ არ იცნობს ლეჩხუმ-სვანეთში, როგორც უკიდურეს რეაქციონერს და ცხრაას ხუთში ბევრი ცუდის ჩამდენს. ალიხანოვის მარჯვენა ხელი იყო, ცხრაას ექვსში სტრაჟის ურიადნიკობა მიიღო და მრავალი სახლ კარი გადიბუგა მისის მეთაურობით, ეს ოჯახი სვანეთში ცნობილი არიან, როგორც გლეხთა მტერი.

აი, ამ ვექნატონებმა იწყეს „მეთაურობა" და ამბობენ, სვანეთის მოწესრიგება ახალ მთავრობისა და კომიტეტისაგან ჩვენ გვაქვს მონდობილიო. შეგნებული და მათი სამგმირო საქმეთა მცოდნე ამას არავინ დაიჯერებს და წმინდათა წმინდას ამათ არავინ დაანებებს გასარყვნელად. მაგრამ არიან შეუგნებელნიც. და უკეთუ მართლა ვინმემ მიანდო (?) ამათ სვანეთის საქმეები, დიდი შეცდომა ჩაუდენია. სხვა მაზრებში ასეთ პირებს აპატიმრებენ, სამართალში აძლევენ და სვანეთს ვინ დაუყენა ესენი მეთაურად? ჩვენ მოვითხოვთ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისაგან და სოც.-დემოკრატიული კომიტეტისაგან, რომ დაუყოვნებლივ იქნას ჯეროვანი ზომები მიღებული კოწია დადეშქელიანის და მისი ძმის წინააღმდეგ, დაატუსაღონ და გამოძიება მოახდინონ მათ წარსულ საქმეებზე. მასთან მოვითხოვთ, რომ სვანეთის მომწესრიგებლად გამოგზავნონ ჩვენში კარგად ცნობილი ლევან დადეშქელიანი და უკეთუ რაიმე გარემოებისა გამო მას არ ეცლება, და ვერ მოვა სვანეთში, იმ შემთხვევაში ვითხოვთ გამოიგზავნოს სანდო პირი.

ჩუბეხევს, ფარის, ეცერის, ცხუმრის და ბეჩოს საზოგად. გლეხების რწმუნებულნი.

**ქ. ახალქალაქი.** დილის 10 საათია, ადგილობრივ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის შენობის წინ მოედანზე, აღმასრულებელი კომიტეტის წევრები წითელი დროშის ქვეშ თავს იყრიან. ხუთი წუთის განმავლობაში კომიტეტს გარს ერტყმის ზღვა ხალხი. გამოჩდა უმალ. დაწყ. სასწავლებლის მოწაფეები წითელი დროშით და მარსელიოზის ხმაც გაისმა, რაიც თორმეტი ათას დამსწრეთა ტაშის ქუხილმა ერთხანს დაჭფარა რევოლიუციონური სიმღერა. აქეთკენვე მოეშურება წითელი დროშით ადგილობრივი ოთხკლასიანი სომხური სკოლა, ისმის მარსელიოზა სომხურ ენაზე, მათაც ხალხი ტაშით ეგებება; მცირე ხნის შემდეგ მათ უერთდება ორივე დაწყებითი სასწავლებლების მოწაფეები. დაიძრა ეს ზღვა ხალხი ჯარისაკენ... გამოჩდა ადგილობრივი გარნიზონი მუსიკით და წითელი დროშებით... ისმის ჯარის რევოლიუციონური სიმღერა და მუსიკა...

მათ დროშებზე წანაწერი დევიზები ხალხში უსაზღვრო აღფრთოვანებას იწვევს:

„გაუმარჯოს რესპუბლიკას, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! შენ თავისუფალო რუსეთო, დავიხოცებით, მარა გიხსნით!" აქ, შეხვედრისას, კომიტეტის თავმჯდომარემ, ბ. ა. აბრამიანცმა ჯარს მიულოცა დღესასწაული და მოკლეთ აღნიშნა ბრძოლათა ღვაწლი.

აქედან ხალხი ჯართან ერთად მარსელიოზით გაემართა ბულვარისაკენ და სომხურ ოთხკლასიანი სასწავლებლის შენობის წინ გაჩერდა, რომლის ფასადი მოწყობილი იყო ირლიანდიით და წითელი დროშებით. ილაპარაკა მრავალმა ორატორმა. ილაპარაკა ქალმაც, სარა მელიქიშვილმა; ორატორებს მქუხარე ტაშით აჯილდოვებდნენ. **აპარელი ხოხო.**

**გუდაუთი.** (სოხუმის ოლქი). ძველი მთავრობის დაცემამ დიდი აღტაცება გამოიწვია დაბაში. 1 და 2 მარტს ქუჩებში გუნდ გუნდათ იყრის ხალხი თავს და განცვიფრებით ისმენენ ძველი დახავსებული მთავრობის განადგურების ამბავს. 4 მარტს, საღამოს, მოხდა დაბის საზ. სახლში მოქალაქეთა კრება. ამ კრებაზე აირჩიეს სასურსათო კომიტეტი 45 კაცისაგან (5 ამათგანი ჯარისკაცია). 5—10 მარტამდის ხალხი მოუთმენლად ელოდება ჯარისკაცთა და მუშათა გამოსვლებს და დაბის მართველობის მათ ხელში გადასვლას 11 მარტს შესდგა მუშათა საბჭოს კრება, სადაც აირჩიეს დეპუტატები. 12 მარტს, დილის 9 საათზე იწყო დენა ხალხმა ყოველ კუთხიდან. 10 საათზე ჯარისკაცთა და მუშების მიერ გამოტანილ იქმნა წითელი დროშა შემდეგი წარწერით: „გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს თავისუფალ ხალხის ჯარს, გაუმარჯოს სოციალდემოკრატიის მუშათა პარტიას!"

რამდენიმე წუთის შემდეგ ბაზრის ქუჩაზე მიმავალ მომღერალთ დიდძალი ხალხი შეუერთდა. 12 საათამდე შემოიარეს დაბის მთელი ქუჩები, აჰყარეს ჟანდარმებს იარაღი და გაეშურენ დაბის ბაღში, სადაც შესდგა კრება. კრებაზე წარმოითქვა მქუხარე სიტყვები რუსულ, ქართულ და აფხაზურ ენებზე. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ერთი მუშის მოსწრებულმა სიტყვამ, რომელმაც შემდეგი სიტყვებით დააბოლოვა სიტყვა: „ძმებო, ჩვენ, რეაქციის გამარჯვებით დაღონებულებს, დაგვავიწყდა სიტყვის თქმა და დარდების მოსაკლავათ შევეჩვიეთ ღვინის სმას და თრობას; აწი ჩვენმა ძველმა მთავრობამ და მათმა მიმდევრებმა სვან დარდისგან და ჩვენ კი დავტოვოთ სიხარულით"-ო.

კრების თავმჯდომარეს დაევალა მისალოცი დეპეშის გაგზავნა ახალ მთავრობასთან. კრება წესიერათ დაიშალა.

თუ დემოკრატია მზადებაში იყო ახალი მთავრობის მისასალმებლათ—ხელ-დაკრეფილი არც ბნელი ძალები იყვნენ აქ.

სოხუმში შესდგა კომიტეტი (მოეწვევ მამებთაგან) ალექსანდრე შერვაშიძის თავმჯდომარეობით. მას ზურგს უმაგრებდა ძველი ადგილობრივი ადმინისტრაცია. კომიტეტი დარწმუნებული იყო, რომ ისარგებლებდენ აფხაზეთის შეუგნებლობით და თავიანთ კერპებს აღადგენდენ. დიდ იმედს ამყარებდა კომიტეტი მესამე მოკავშირეზე აფხაზეთის სამ კატეგორიათ დაყოფ ლი მცხოვრებლე ი. მემამულე თავად-აზნაურობა და მუშა-გლეხები ორ ბანაკად იყოფოდა ყოველ დროს. ერთი მხრით იდგა მტკიცედ შეკავშირებული თავად აზნაურობა და შინტაესტები, ხოლო მეორეზე კი მუშა გლეხები. პირველს დაჯაბნებული ჰყავდა მეორე, ვინაიდან აწ ისტორიას ჩაბარებული მთავრობა მათ მფარველობას უწევდა. ამით აიხსნება, რომ აფხაზეთს ბარბაროსობიდან დღემდის ვერ დაუღწევია თავი.

აი, კომიტეტმა ეს მესამე მოკავშირეც ამოიყენა გვერდში. მათი მიზანი ნათელი იყო. ამით ლამობდენ დაემტკიცებიათ ხალხისთვის ახალი მთავრობის ახალი პროგრამებით მართვა-გამგეობა, რომ, ვითომ, უვარგისია და არ ძალუძს მშვიდობიანი ცხოვრების პატრონობა.

მწარედ მოსტყუვდა ბედშავი კომიტეტი. აფხაზეთს საუკეთესოთ მომზადებული შვილები ალმოჩნდა, რომლებმაც მიუთითეს ხალხს სწორ გზაზე და ის შესაფერათაც დაუხატეს მას. ყოველივე კვალი დაუნკვლიეს კომიტეტის შემადგენლებს და მოწინავე გლეხებთან შემდგარ კრებაზე გადაწყვიტეს—ეცნობებიათ დროებითი მთავრობისათვის კომიტეტის არსებობაზე და მის მიზანზე და მოეთხოვათ კომიტეტის გაფანტვა, რაც სისრულეში მოიყვანეს. მთელი საუკუნოებით თავად-აზნაურების მძიმე უღელ-ქვეშ მბორგავმა დემოკრატიამ დღეს ისარი მოიმარჯვა და სინათლეზე გამოსულმა, სასტიკად შეუტია მას.

15 მარტს, ს. ლიხნში (გუდაუთის საზოგადოება) მომხდარ არჩევნებზე დღეს აფხაზეთის დემოკრატიის, საყვარელი და შესაფერი შვილები იქნენ არჩეულნი კომისარათ: ნესტორ ლაკობა; დეპუტატებათ: კარტოზია, ტარნ ავა ძაძარია და სხვები.

16 მარტს, თვით გუდაუთში მომხდარ კომისარის არჩევნებზე ორ მიმდინარეობამ იჩინა თავი, მაგრამ მუშათა კლასის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა ის. დაბის კომისარათ ბად. ნადარეიშვილი აირჩიეს.

ადგილობრივი ბოქაული დააპატიმრეს თავისი ამალით. ძიება სწარმოებს. ერთი სიტყვით, გუშინ ბარბაროსი აფხაზეთი—დღეს თავისუფლებისათვის თავდადებულ მოძმეთ გვევლინება. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთი ღარიბი არის ინტელიგენციით. თუ მოიპოვებიან, ისიც თავად-აზნაურთაგან არიან. **ხიხი.**

## გაზეთის სასარგებლოთ.

თათიკო შარაშიძისაგან 25 მ.

—

სერგო მეგრელიშვილმა ორი თვით გაზეთი გაუწერა ჯარის კაცებს.

—

პავლე არდაზიანისაგან 10 მ.

—

გიორგი ალიმბარაშვილისაგან და მოსე კვარაცხელიასაგან გაზეთის ფონდისთვის მივიღეთ 3 მ. მათვე სამი თვით გაზეთი გაუწერეს ჯარის კაცებს.

—

ჯ. კ. პარმენ ფუტურიძისაგან—80 კ.

—

გაზეთ „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ შემოწირეს: მ. გ. პარკაიამ 10 მ. ა. ს. დეკანოსიძე 10 მ., ფ. ე. დეკანოსიძე 10 მ., გ. კაშკაშიძე 10 მ., ი. მაისაშვილი 10 მ. Д. Погосовъ 10 р., ხუთ-ხუთი მანეთი: А. А. Вертъ, მ. კაპანაძე, ნ. ასათიანი. სამ-სამი მანეთი: ს. კაჭარავა, А. Карахметовъ, ო. ახვლედიანი, А. Алашкинъ, ა. ი. კასპარ, მ. მჭედლიშვილი, ნ. გაფრინდაშვილი, გ. ასათიანი. Г. Юдинъ, прапорщикъ Г. Т. Никитинъ და დ. მაისაშვილი. ორ-ორი მანეთი: დ. ბ. ნასარაია, გ. კაჭახიძე, ს. ხუსარეიშვილი, А. Рощупкинъ, ს. სამტელაძე, ა. ლეჟავა, დ. გუნია, შავერდოვი, Н. Шусугентъ. И. Лиценко 1 р. 50 к., თითო მანეთი: ა. ნასარაია, მ. გარსევანოვი, А. Дипцовъ, გ. გ. აბაშიძე, А. Г. Рашмаджіанцъ, Н. Дермоевъ, ი. გაბუნია, მ. კ. გაბუნია, И. Денисенковъ, М. Вейцъ. ნ. ხსორტელაძე, ა. ჭუმბურიძე, ბ. ცდენტი, ი. კოლეიშვილი, აბ. ჭოჭუა, И. Кудряшевъ. ათ-ათი შაური: გ. აბუტიძე და К. Петлейнъ. სულ 144 მ. 50 კ.

—

ქ. სოხუმის სამხედრო საავადმყოფოში ფერშლის მოწაფეები და კერძო პირები გიგზავნით ჩვენ შორის შეგროვილ წვლილს 8 მანეთს და 50 კ., „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლათ. 3 მანეთს ვლასა მგელაძის სასარგებლოთ, 3 მანეთს ობოლი მუშისათვის და 3 მანეთს გელასათვის, სულ 17 მ. 50 კაპ. შემომწირველთა სია: ფერშლის მოწაფეებმა თითო მანეთი: ისიდორე მენაბდე, სიმონ მეხუზლამ და აკაკი მეუნარგიამ; ათ-ათი შაური: ვლადიმერ ტუკვაძემ და ალექსანდრე ჯალაღანიამ, ჯ.-კაცმა ალექსანდრე როგავამ და მელიტო ცერცვაძემ; თითო მანეთი, პროფინე ბეჩვაიამ 50 კაპ., ავათმყოფ ჯ.-კაცმა: ანდრო ღლონტმა 1 მანეთი, მელიტო ჩიგაშვილმა 50 კ.; გარეშე პირებმა თითო მანეთი: ნიკო კოკაკიამ, ბესარიონ ბალათურიამ, ილიკო მეხუზლამ, თეოფილე კაკაჩაძემ, ანთიმოსე მეხუზლამ და სილიბისტრო ჭელიძემ, ათ-ათი შაური აკაკი ჯალაღანიამ, მარკოზ მიქავამ, ანდრო კოკაიამ და ილიკრი ბალათურიამ; დიომიდე გეგიაძემ 1 მ. 50 კ.

ამხანაგების მონდობილობით ფერ. მოწაფე ისიდორე მენაბდე და სიმონ მეხუზლა.

—

მე-39 არტილერიის ბრიგად. 1-ლი პარკის ჯარისკაცებს შეუბრალებელმა სიკვდილმა გამოაცალა წუთი-სოფელს საყვარელი ძვირფასი ქართველი ამხანაგები: გიიგოლ ტარიელის ძე გორგოშიძე და ლევან იულის ძე ლომაძე. განსვენებულების სახსოვრათ მათდა პატივსაცემლათ და მოსაგონებლათ მისმა საყვარელმა დარჩენილმა ამხანაგებმა მოვაგროვეთ ას ათი მანეთი (110 მ.), რომელიც გავანაწილეთ შემდეგ ნაირათ: 14 მ. გადავდევით რკინის ჯვრების გასაკ თებლათ, ათი მანათი სასაფლაოს დასამშვენებლათ, 15 მ. „ერთობის" ფონდის სასარგებლოთ, 15 მ. სიროულის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს სასარგებლოთ, 65 მ. გორგოშიძის ქვრივ ობლების სასარგებლოთ, რომელიც ყველა ეს ზემოხსენებული საგნები გაგზავნილია და საბუთები ხელში გვაქ; შემომწირველები შემდეგია: სამ-სამი მანეთი: თეოფილე ვასაძე, იაგორ ცერცვაძე, ორ-ორი მანეთი: სერაპიონ ჭელიძე, მათე მდინარაძე, იაკობ ცისკარაძე, ნესტორ ჰეიშვილი, აპოლონ კარგიშვილი, ვარდენ კობალიძე, მელიტონ თავბერიძე, იოსებ ჰეიშვილი, თედორე სალუქვაძე, გლახუნ ლოდია, თითო მანეთი ნახევარი: ალექსანდრე დემრიხანოვი (სომეხია), თითო მანეთი: Митрофанъ Ляшенко, გიორგი ალავიძე, ნოე ბლიაძე, იაკინთე გოგუა, Прокофій Мусенко, აბგო ელბაქიძე, თომა ანდღულაძე, Хаамиръ Анастасовъ, იოსებ რუსიეშვილი, ბარნაბ გუჯაბიძე, მიხეილ აფხაზავა, კოწია დობორჯგინიძე, სამსონ ჯორბენაძე, სიო მარგალიტაძე, მარკოზ ჩხვაძე, ნესტორ ჩხვაძე, გიორგი ტიგიშვილი, დათიკო კიზიკაძე, ნოვე ტულუში, იოსებ გოგებერიძე, სარქის ასლამაზოვმა, ლუკა ვასაძე, ლუკა ჩაკვეტაძე, ივანე ზოიძე, თეოფილე ზენაიშვილი, მოსე აბაშიძე, ევგენი აგლაძე, ლადიმე კუკულავა, სოლომონ მესხაიშვილი, იპოლიტე ხაჭაპურიძე, ვასილ ძიმისტარიშვილი, Исмаилъ Паскаковъ, Мусеинъ Штаиновичъ, Маисей Голбеванъ, სანდრო თადიშვილი, მინა ჯანუყარაშვილი, დომენტი კილაძე, ელისე გუჯაბიძე, ონოფრე ხელაძე, Степ. Барвовъ, Палусъ Петросіянцъ, ვასილ მამულაიშვილმა, ყარამან ქასრაძემ, Кузма Гапоченко, Атонъ Феклисъ, ალფეზი გოგვაძემ, მელქისედეკ ხალაძემ, Аванесъ Саркисовъ, Егоръ Тумасовъ, Димитрій Ухановъ, Яковъ Глушниковъ, Аванесъ Мардаянцъ, ნიკო თავდ რიძე, მიხაკო სეფერთელაძე, კონსტანტინე კილაძე, ერმილე გელეკვა, ნიკოლოზ ცისხვაია, არტემ ჭონქაძე, სამსონ ლომაძე, მოსე ხოფერია, ათ-ათი შაური: მელიტონ თიკარაძე, დათიკო წულუკიძე, მაქსიმელ თავშავაძე, Іосифъ Клюсъ, ხალამპრე ჩხაიძე, Лікорій Исметуловъ, Николай Климентовъ, Мєликъ Крикоровъ, ალისტრახო ხოფერიამ, ონისიმე აფხაზავამ, გიორგი ზალდემ, სერგო გოგიჩაიშვილი, ვლადიმერ სარიშვილი, Христофоръ Махмудовъ, აკოფ ტრაპანიანცმა, სიმონ ჩხვაძემ, მელიტონ მურმანიძემ, ისაკი ფასიეშვილი, გიორგი ჩხვაძემ, ესოფ ჩხვაძემ, ერადიონ ჩხვაძემ, ალისტრო მახარაძემ, გიორგი ნიშნიანიძემ, ვატა ხაფთასმა, მეთოდი გეტი, არტემ გოლეტიანი, ტარასი ჯიხვაძემ, Владиміръ Алмив., ლადიმე შეწირ ლი, გიორგი გეგუჩაძე, ივანე ღლონტი, Алексѣй Власовъ, Мелкисъ Абарсумовъ, Абрамъ Захаріянцъ, მიხეილ გოგიჩაიშვილი, Семенъ Бахшутовъ, Семенъ Хачановъ, გიორგი უსუნერაშვილი, Казиръ Макаровъ, სიო ტულუში, არსენ მოქა, მელიტონ მათიკვეჭაძე, Аванесъ Саркисовъ, Никиртичъ Арустамовъ, იოსებ კეკელის ძე ზენაიშვილი, ლაზარე მლაგიძე 55, კირილე ჯველაძემ, ტერ კარაპეტოვ, მელი ტანგიევ, Мирза Стефановъ, ლუკა ტულუში 75, ალექსანდრე ვაშაკიძე 25, სილევან ვაშაკიძემ 25, თითო აბაზი: Креимеръ, Павелъ Зогинъ, Кузма Бондаріевъ, Левандзинъ, Иванъ Козинъ, Яковъ Пишеръ, Василій Копозієвъ, Иванъ Даченко, Раиню Кригеръ, Атонъ Степановъ, Іюсуфъ Галієвъ, Раінъ Веперъ, Саркисъ Егазаріянцъ, Митрофановъ Тиченко, Манукіянцъ, Фяклисовъ, Кирилъ Кулавскій.

## წერილები რედაქციის მიმართ.

აქსტაფაში შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი რკინის გზის მოსამსახურეების. შემადგენლობა მშვენიერია. სჭარბობს სოციალ-დემოკრატები. ამხანაგების დავალებით ვაქვეყნებ შემდეგ სამწუხარო მოვლენას, 28 მარტს სად. აქსტაფაში სად. შაქარლიდგან კონდუქტორებმა ჩამოიყვანეს სისხლში მოსვრილი 18 წლის ქალი და გადმოსცეს მე როგორც წევრს აღმასრულებელ კომიტეტისას. აღმასრულებელ კომიტეტმა შემდეგი გულშემზარავი ამბავი გამოარკვია: სად. შაქარლაში მსახურებს ვინმე სადგურის თანაშემწე გაბუნია, რომელსაც სოფელ მესხეთიდან წამოუყვანია მოსამსახურედ სონია ფხაკაძის ქალი, ობოლი, იმ პირობით, რომ ნამსახურის მაგივრად ის შემდეგ მას გათხოვებდა და უპატრონებდა. მიუხედავად ამისა, ბატონი გაბუნია და მისი მეუღლე საშინელი მკაცრად ეპყრობოდა მას, რაც გამოიხატება ცემა-ტყეპაში, რომ იძულებული გამხდარიყო ქალი ერთი წლის უფასო სამსახურის შემდეგ თვითონ გაქცეულიყო, რითაც ბ. გაბუნია თავისუფლდებოდე ყოველივე მოვალეობისაგან. უბედური ქალი ყველა ამ ტანჯვას მთელი წლის განმავლობაში ითმენდა. უკანასკნელად ნაცემი ის ნახეს სისხლში მოსვრილი კონდუქტორებმა და ჩამოიყვანეს აქსტაფაში, რომ აღმასრულებელ კომიტეტს ეზრუნა მასზე.

იქონია რა აქსტაფის რაიონულ აღმასრულებელმა კომიტეტმა მსჯელობა ზემოხსენებულ შემთხვევაზე და გამოარკვია ყოველივე მიზეზები და შემდეგი დაადგინა, სოფიო ფხაკაძის ასული დაუბრუნდეს თავის ნათესავებს როგორც ამას ქალიც მოითხოვს. გამოეცხადოს ბ-ნ გაბუნიას და მის მეუღლეს ზიზღი ადამიანის წამებისთვის გაზეთის საშვალებით. შეეკითხონ სოფ. მესხეთის აღმასრულებელ კომიტეტს თუ რა პირობით ჰყავდა მას ქალი წამოყვანილი, რის შემდეგ იქონიებს მსჯელობას ნის მატერიალურად დაკმაყოფილებაზე. ამასთან ვაფრთხილებთ საზოგადოებას არ დააყენონ მოსამსახურედ თავისი შვილები ან დები ბ-ნ გაბუნიას. მით უმეტეს გამოირკვა, რომ ქ-ნ გაბუნიასა განთქმული ყოფილა, როგორც გამწვავებელი მოსამსახურეების.

რაიონულ აქსტაფის რკინის გზის მუშა მოსამსახურეების აღმასრულებელი კომიტეტის მონდობილობით **ხუხუნაიშვილი.**

## ჩვენი ფოსტა.

**ყარსი.** გარნიზონის ქართველ ჯარისკაცებს. თქვენი წერილი ქართველ ნაციონალისტების შესახებ სამართლიანია, მარა რადგან თავისი შეცდარი ნაბიჯის გასწორებას თვითონვე ცდილობენ დღეს, ამიტომ მასზე წერა ზედმეტია.

**ვ. ხუროძეს.** გთხოვთ დაჩქარებით ჩამოხვიდეთ.

**მიშა არსენიძეს.** რათ იგვიანებთ?!

რედ.-გამომცემელი **ვლ. მ. ბოხოხაძე.**